# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 23 ოქტომბერი 2008 №245 (3469) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასეთ რამეს მხოლოდ თბილისში და მხოლოდ ის თუ გააკეთებს

# დიეგო არმანდო მარადონა ავტობუსის საჭეს მიუჯდა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა





გაჩო კეთილაძის ფოტო

# ის აქ არის!

**დაჯერება**, რომ დიეგო არმანდო მარადონა თბილისში ჩამოვიდოდა, გულის სიღრმეში ძალიან გვიჭირდა.

აეროპორტში მივედით. თავიდან სიხალვათე იყო, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ხალხი მატულობდა, რევაზ და არჩილ არველაძეები მოვიდნენ, მალევე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავაც გამოჩნდა, რომელსაც აეროპორტში მოსვლამდე ტელეფონით ვესაუბრეთ და გვითხრა, მარადონას საქართველოში ჩამოყვანის ინიციატორ ნიკო პატარქალიშვილს შევუთანხმდით, თუ მარადონას ჩამოიყვანს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მხარში ყველანაირად ამოუდგებაო...

აეროპორტში არგენტინული ფეხბურთის გულშემატკივრებიც მომრავლდნენ. საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელები გიორგი ნემსაძე და ნიკა ჩხაიძეც გამოჩნდნენ. ჩხაიძემ გვითხრა, გუშინ შოთა არველაძემ დარეკა და გვითხრა, კლაუდიო კანიჯა თბილისში მოდის მარადონასთან ერთად და, არა მგონია, ტყუილი იყოსო. თუმცა, სანამ მარადონას თბილისის აეროპორტში საკუთარი თვალით არ ვნახავდით, დარწმუნებით ვერავინ ვერაფერს ამბობდა.

მერე კი ითქვა, ამსტერდამის რეისი ჩამოფრინდაო — პატარქალიშვილი და ძმები არველაძეები ტრაპზე დასახვედრად წავიდნენ, აეროპორტში კი ჟრიამულმა იმატა...

დიეგო მარადონა გამოჩნდა...

თავიდანვე შეთანხმებული იყო, რომ მარადონა კომენტარს არ გააკეთებდა და ავტობუსშიც უსიტყვოდ ავიდა...

სხვებიც იყვნენ: არგენტინული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე სერხიო გოიკოეჩეა, მატიას ალმეიდა, გაბრიელ ამატო და მათი მეგობრები...

...მარადონამ ავტობუსში ჯერ სადღაც შუაში მოძებნა ადგილი და დაჯდა თუ არა, სიგარას მოუკიდა...

ავტობუსს მისეულ ქართველ გულშემატკივრებს ხელიც დაუქნია და... მძღოლის ადგილზე გადმოჯდა და ფანჯრიდან ავტოგრაფების დარიგება დაიწყო...

თავდაპირველად არგენტინის პატარა დროშა მიაწოდეს ავტოგრაფისთვის, ამის მერე კი რიგი დადგა...

... საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის უფროსმა სანდრო ცნობილაძემ ის ორი წლის წინანდელი „სარბიელი“ მიაწოდა, სადაც მასთან ბაჩო სვანიძის ექსკლუზიური ინტერვიუ იყო დაბეჭდილი — დიდ არგენტინელს აშკარად ესიამოვნა...

არგენტინელების ავტობუსმა გეზი „შერეტონ მეტეხი პალასისკენ“ აიღო და ჩვენც ავლაბრისკენ გავემართეთ — ლეგენდას „შერატონის“ შესასვლელთანაც ელოდნენ...

დიეგო მარადონა თბილისშია...

**ნუკრი ლოლაძე**



გაჩო კეთილაძის ფოტო



# ის პენალტი ნაღდად არ იყო...

## პატარა უცნობ ქვეყანაში დიეგოსთვის ჩამოსულდი ვაცი

მაშინ, როდესაც ქართული მედია დიეგო მარადონას დასდევდა, 90-იანი წლების არგენტინის ნაკრებს კიდევ ერთ ვარსკვლავ სერხიო გოიკოეჩეას შემნუხებელი არავინ ჰყავდა.

აეროპორტიდან „შეროტონ მეტეხი პალასში" მისული სტუმრებთაგან, ცხადია, ალყაში კვლავ დიდი დიეგო მოექცა, შეჭაღარავებული გოიკოეჩია კი მოკრძალებული ღიმილით ჩამოვიდა ავტობუსიდან და საინტერვიუდაც მაშინ მივიხელთეთ.



ბაჩო კორძაიას ფოტო

— ჩემი თავი რამ გაგახსენათ, თანაც ინგლისური ცუდად ვიცი — ჩვეული სიდინჯით გვიპასუხა გოიკოეჩეამ, რომელმაც მარადონასთან და კლაუდიო კანიჯასთან ერთად 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა არგენტინის ნაკრები. არადა, იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატზე სერხიო გოიკიოჩეა სათადარიგო მეკარედ წაიყვანეს, თუმც ძირითადი მეკარე ნერი პუმპიდომ ჯგუფურ ეტაპზე რუსეთთან მატჩში ფეხი მოიტეხა და გოიკოეჩეა არგენტინელთა მხსნელი გახდა...

გოიკოეჩეას მოგერიებულ ბურთებზე რომ არაფერი ვთქვათ, გასახსენებელი 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედ და ნახევარფინალური მატჩის შემდგომი აღებული პენალტებიც კმარა, რომელმაც არგენტინა ფინალში გაიყვანა. იქ კი...

— ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ნესტორ სენსინის იურგენ კლინსმანი არ მოუცელია, ხისტი, მაგრამ სუფთა ვარდნა იყო. მსაჯმა კი პენალტი დანიშნა... არადა, სულ რაღაც ოთხი წუთი რჩებოდა და, დამატებით დროში რა მოხდებოდა, არავინ იცის.

— მანამდე რამდენიმე პენალტი მოიგერიეთ...

— ესეც ბედის ამბავი იყო, ფინალამდე მოგებული პენალტების სერიით მივედით, იქ კი პენალტით წაგაგეთ, ბრემემ აუღებელი დაარტყა...

— ეს თქვენთვის ერთადერთი მსოფლიოს ჩემპიონატი იყო. არადა, მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატზე, 1994 წელს, ისევ თქვენ მიიჩნეოდით არგენტინის ნაკრების მთავარ მეკარედ...

— იტალიაში მართლაც დიდი იმედგაცრუება მივიღე. ძალიან მწყდება გული, ის პენალტი რომ არა, ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდებოდით. ამერიკაში კი მწვრთნელმა ალფიო ბასილემ არ წამიყვანა.

— ბევრი ამბობს, რომ 1990 წლიდან მოყოლებული დღემდე, 1994 წლის არგენტინის ნაკრები საუკეთესო იყო. თქვენც ასე ფიქრობთ?

— მიუხედავად იმისა, რომ იმ მსოფლიოს ჩემპიონატმა უჩემოდ ჩაიარა, მეც ვფიქრობ, რომ ბასილეს ნაკრებმა მართლაც ლამაზი ფეხბურთი ითამაშა და მაშინ მართლაც საუკეთესოები იყვნენ. თუმც როგორც დასრულდა ის ჩემპიონატი არგენტინისთვის ყველამ კარგად იცით... დიეგოს იმედგაცრუებული სახე არასდროს დამავიწყდება...

— საქართველოშიც დიეგოს თხოვნით ჩამოხვედით?

— დიახ, დიეგო ჩემი ძმაკაცია და როდესაც მთხოვა, ერთ პატარა ქვეყანაში უნდა ჩავიდეთო, მისი ხათრით წამოვედი. სიმართლე გითხრათ, აქამდე საქართველოზე არაფერი ვიცოდი...

*სერხიო გოიკოეჩეამ მოგვიბოდიშა, დავიღალე, ნომერში უნდა ავიდეო...*

— ერთსაც გკითხავთ, დღესდღეობით ვინ მიგაჩნიათ მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ?

— რთულია კონკრეტული პასუხი გაგცეთ... ბუფონი, ჩეხი, კასილიასი... ძალიან რთულია რომელიმე გამოარჩიო...

— და საუკეთესო არგენტინელი მეკარე ვინ არის?

— ამ მომენტისთვის „ლაციოს" მეკარე ხუან პაბლო კარიცო არგენტინის ნომერ პირველი მეკარეა.

**ბაჩო სვანიძე**



იტალია — არგენტინა. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალი. ეს წამია, სერხიო გოიკოეჩეამ იტალიელ რობერტო დონადონის პენალტი აუღო. სერიაში ანგარიში 3:3 დარჩა. მომდევნო პენალტს მარადონა გაიტანს, მერე გოიკოეჩეა ალდო სერენას დარტყმულსაც მოიგერიებს და არგენტინა ფინალში გავა...



ხავიერ ბუსტამანტე, ნიკო პატარქალიშვილი და მარსელო ბანდოლა

# ...მარადონას ჩამოსვლამდე

**საქართველოში** დიდი არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო არმანდო მარადონა ჩამომყავსო, კარგა ხანია, გაიძახის ნიკო პატარქალიშვილი და დღემდე ძნელად თუ ვინმე იჯერებს.

გუშინ პატარქალიშვილმა კიდევ კიდევ ერთხელ გამართა პრესკონფერენცია და ორი არგენტინელი, მარსელო ბანდოლა და ხავიერ ბუსტამანტე იახლა. ისინი დიეგო მარადონასა და მისი მეგობრების თბილისში ჩამოსვლას ადასტურებენ — უეჭველად ჩამოვაო.

პრესკონფერენცია ნახევარი საათით გვიან დაიწყო და მანამდე ყველას ერთი კითხვა ეკერა პირზე: მართლა ჩამოვა მარადონა?

პატარქალიშვილმა პირველი, რაც გვამცნო, ის იყო, რომ პარიზში კლაუდიო კანიჯა ჩამორჩა თვითმფრინავს და ის ხვალ კიევის გავლით ჩამოვა თბილისში...

„დიეგო მარადონა და მისი არგენტინელი მეგობრები პარიზიდან ამსტერდამში უკვე გაფრინდნენ და 21.30 საათზე გვეწვევიან თბილისში. მინდა, ეს ქართველ ხალხს მივულოცო. მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინ რა ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში და მარადონამ თქვა, სადაც უჭირთ, მეც იქ უნდა ვიყოო...

არგენტინელები საქართველოს ვეტერანთა ნაკრებს გაეჯიბრებიან...

საქართველოს ნაკრების ღირსებას ის ფეხბურთელები დაიცავენ, რომლებმაც შოთა არველაძის გაცილების მატჩში ითამაშეს. ამ პროექტის განხორციელებაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაა ჩართული — ფეხბურთელთა სიაც მათ მოგვაწოდეს. არგენტინის ნაკრებში მარადონას გარდა ითამაშებენ სერხიო გოიკოეჩეა, მატიას ალმეიდა, ხოსე ამატო, ხოსე ბორელი და სხვები...

...ჩვენი არგენტინელი სტუმრები „შერატონ მეტეხი პალასში" დაბინავდებიან. ბანდოლას და ბუსტამანტეს ეს სასტუმრო ძალიან მოეწონათ. სანამ მარადონა არ ჩამოვა, ზუსტად ვერ გეტყვით, როდის ჩაატარებს პრესკონფერენციას — 23 ან 24 ოქტომბერს პრესკონფერენცია უეჭველად იქნება...

...ასევე ჩატარდება ვარჯიშიც და ჟურნალისტებისთვის დასწრება თავისუფალი იქნება. მატჩი კი 25 ოქტომბერს 20 საათზე დაიწყება. ბილეთების გაყიდვას ხვალიდან ვიწყებთ, რათა დარწმუნებული იყოს ქომაგი, რომ მარადონა უკვე საქართველოშია...

...სალაროები დილის 10 საათიდან 20 საათამდე იქნება ღია. ბილეთების ფასი ასეთია: 10, 30, 60, 70, 80, 100, 120 და 150 ლარი. ასეთი ფასები იმან გამოიწვია, რომ ამ ხალხის სტუმრობა ძვირი სიამოვნებაა — ისინი ამსტერდამიდან მასტერ-კლასით მოემგზავრებიან. იმედი მაქვს, სტადიონს ქომაგი არ მოაკლდება. ამ მატჩის ტელეტრანსლაციის ექსკლუზიური უფლება „იმედს" აქვს. შეხვედრას არგენტინული ტელეკომპანიებიც გადასცემენ...

...დღეს დიეგო მარადონა ჟურნალისტებისთვის აეროპორტშიც გააკეთებს კომენტარს, ოღონდ გთხოვთ, რომ ცოტა დისტანცია დაიკავოთ და დიეგო არ შევაწუხოთ".

აი, ასეთი ამბები იყო გუშინ, მარადონას ჩამოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე...

**ნუკრი ლოლაძე**




# ქეცბაია: ნიუკასლი? რატომაც არა, თუმც...



**თემურ ქეცბაიამ** „ნიუკასლის" შეფებს შეუთვალა, თქვენთან მწვრთნელად სიამოვნებით ვიმუშავებდიო, თუმც...

თუმც ის, რომ ქეცბაიამ „სარბიელთან" საუბარშიც თქვა, „ნიუკასლში" ახლა არეული მდგომარეობაა, კლუბი იყიდება და ვინ იცის, ახალი მფლობელი რომელი მწვრთნელის მოყვანას მოისურვებსო.

ასე რომ, „კაჭკაჭები" თემურს ხანგრძლივ კონტრაქტს ვერ სთავაზობენ, ეს კი „ანორთოსისის" წარმატებულ მწვრთნელს, აბა, რაში აწყობს.

როცა კლუბი დალაგდება და სტაბილური მეპატრონე გამოუჩნდება, ქეცბაია „კაჭკაჭების" მწვრთნელობაზე უარს არ იტყვის.

„უარზე ნამდვილად არ ვარ. „ნიუკასლი" ძლიერი და ჩემთვის ძვირფასი კლუბია" — უთხრა ქეცბაიამ ბრიტანულ „დეილი მირორს".

ეს გამოცემა კი წერს: „ქეცბაია ის კაცია, რომელმაც სამი სეზონი ითამაშა „კაჭკაჭებში" და „სენტ ჯეიმს პარკის" ფანების ერთ-ერთი გმირი გახლდათ, ის განსაკუთრებულად ზეიმობდა გოლების გატანას".

ჰო, სხვათა შორის, „ნიუკასლში" ალან შირერის გამწვრთნელებაზეც იყო ლაპარაკი, კლუბის შეფობა ინგლისელ ლეგენდას დაკავშირებია კიდეც, მაგრამ უარი მიუღია — ჯერ არ შემიძლია, სამწვრთნელო ლიცენზიის კურსებს გავდივარო.

**ილია ნანობაშვილი**

# ოთარ ხიზანეიშვილი: ეროვნულ ნაკრებზე ჯერ ვერც ვიფიქრებ



მეორე ბუნდესლიგაში რვა ტური ისე გაილია, ოთარ ხიზანეიშვილი სულ ორ მატჩში გამოჩნდა „აუსბურგში" და ისიც შეცვლებზე. ასე იყო „ფრაიბურგშიც" — კარგა ხანია, ხიზანეიშვილს ფეხბურთი დანატრებული აქვს და „ფრაიდან" სწორედ იმიტომ წავიდა, რომ სათამაშო პრაქტიკა ჰქონოდა.

ოთარი ერთი პერიოდი საქართველოს ნაკრების შეუცვლელი მცველი გახლდათ, თუმც ახლა თვითონვე გვითხრა, ნაკრებში არც უნდა დამიძახონ, უთამაშებელი ვარ და ეროვნულ გუნდს ვერ გამოვადგებიო.

ხიზანეიშვილს გუშინ შევეხმიანეთ გერმანიაში და „აუგსბურგში" სათადარიგოობის მიზეზებით დავიწყეთ...

— ეტყობა, დავითარსე. ჯერ იყო და, ფოლკერ ფინკემ მოიყვანა „ფრაიბურგში" თავისი ფეხბურთელები და შანსი აღარ მომცა, ახლა კი „აუგსბურგის" მწვრთნელი ფახიც ასე იქცევა. ჩემსავით არ ენდობა ბელარუს მეკარე ვიტალი ხომუტოვსკის — ჩვენ ორმა მოვილაპარაკეთ და ფახთან შევედით. ოთხი გერმანელი ფეხბურთელი მასთან მეგობრობს, სულ ერთად დადიან, დანარჩენები კი, თითქოს არც ვართ კლუბში.

— „აუგსბურგის" გარდა, სხვა გუნდებიც გიწვევდნენ. ხომ ვერ დააკონკრეტებ, რომლები?

— თურქულ „ქაისერში" თავისუფლად შემეძლო წასვლა, გამზადებული კონტრაქტი მელოდა, მაგრამ გერმანიაში დარჩენა ვარჩიე. „ნიურნბერგიც" მიწვევდა, თუმც საბოლოო პასუხს ცოტა გვიან გეტყვითო და, მეც „აუგსბურგში" გადმოვედი.

— ეროვნულ ნაკრებში თამაშს შეჩვეული იყავი და ალბათ გენატრება...

— რა თქმა უნდა, თუმც არც კლაუს ტოპმიოლერის მწვრთნელობისას და არც ახლა არ მქონია პრეტენზია, რატომ არ მეძახიან-მეთქი. კლუბში თუ არ მათამაშებენ, ნაკრებში არავინ მიმიწვევს. ეს ვიცი.

— ნაკრების თამაშს უყურე კვიპროსთან და ბულგარეთთან?

— სამწუხაროდ, ვერა. თუმცა, როცა ალექსანდრეიაშვილს ველაპარაკე და პრესიდანაც გავიგე, კარგად უთამაშიათ. იმედია, შედეგიც მალე მოვა. ძალიან მინდა ნაკრებში დაბრუნება და ცდას არ დავაკლებ, მაგრამ მესმის, რომ ჯერ „აუგსბურგში" უნდა ავთამაშდე.

**ილია ნანობაშვილი**

# კახა კალაძის ქველმოქმედება

**საქართველოს** ნაკრების კაპიტანმა კახა კალაძემ ვარჯიში დაიწყო. მართალია, ჯერ მხოლოდ ინდივიდუალურად, თუმცა ტკივილები უკვე აღარ აწუხებს...

კალაძე არც გაჭირვებულ თანამემამულეებს ივიწყებს და, როგორც ადრე ვწერდით, მილანში საქველმოქმედო საღამო „დავეხმაროთ საქართველოს" გამართა.

კალაძის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, KALA FOUNDATION-მა მილანელთა ავტოგრაფიანი მაისურების, მთელი გუნდის მიერ ხელმოწერილი ბურთის, მხატვარ ვინჩენცო მარსილიას მიერ დამზადებული სურათით და ანა პროსპერის მიერ ნაჩუქარი საათით მიიღო საკმაო შემოსავალი, რაც მოხმარდება საბნებისა და პირველადი საჭიროების საგნების შეძენას.

www.kaladze.it-მა მინი-ინტერვიუც გამოაქვეყნა, სადაც კალაძემ საქართველოში არსებულ მდგომარეობასა და საკლუბო ამბებზე ისაუბრა...



— საბედნიეროდ, საქართველოში ომი აღარ არის. ერთადერთი, რაც მაღელვებს, ხალხის მდგომარეობაა. საკმაოდ ბევრ ადამიანს სჭირდება დახმარება. სწორედ ამიტომ ვფიქრობთ საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზებაზე, რათა მოვაგროვოთ თანხა და შევიძინოთ პირველადი საჭიროების საგნები.

— ტრავმაზეც ვთქვათ. როგორ გრძნობ თავს?

— დღითიდღე უკეთ. რამდენიმე დღეა, ვახერხებ სირბილს და ნაკლებ ტკივილს ვგრძნობ, რაც დამშვიდების საშუალებას მაძლევს. ეტაპობრივად შემიძლია ვარჯიშის რიტმის მომატება.

— „მილანმა" „სამპდორიასთან" მატჩი კარგად ჩაატარა და ალბათ, უკვე უეფას თასზე „ჰერენვეენთან" შეხვედრაზე ფიქრობთ...

— „სამპდორიასთან" მნიშვნელოვანი და რთული შეხვედრა მოვიგეთ. ახლა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნამდვილად ჩავერთვეთ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში. უეფას თასზე ჩვენს მომავალ მეტოქე „ჰერენვენს" კი კარგად არ ვიცნობ. ჩვენ მხოლოდ მოგება გვსურს, რისთვისაც ყურადღებით და მონდომებით უნდა ვითამაშოთ.

**ბახა შალამბერიძე**

# ფიფამ სერგეი ნუდნი გაამტყუნა

როგორც მოგეხსენებათ, საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" ყოფილმა ფეხბურთელმა სერგეი ნუდნიმ რამდენიმე თვის წინ თავის ყოფილ კლუბს ფიფაში უჩივლა. ფეხბურთელის ასეთ ქმედებას ქართული კლუბის შესაბამისი რეაქცია მოჰყვა...

მთელი ეს არცთუ სასიამოვნო ისტორია დაიწყო მაშინ, როდესაც, 2005-06 წლის სეზონის დასრულების შემდეგ გამოცხადებული „საფეხბურთო არდადეგებისას", მოლდოველი ლეგიონერი, რომელსაც საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონთან" მოქმედი კონტრაქტი ჯერ კიდევ აკავშირებდა, გაემგზავრა შინ. სერგეი ნუდნის, კონტრაქტის თანახმად, იმერული კლუბის ღირსება 2007 წლის იანვრამდე უნდა დაეცვა, თუმცა, ყველასთვის მოულოდნელად, ფეხბურთელი საქართველოში აღარ დაბრუნებულა.

ამის შემდეგ სერგეი ნუდნიმ მიმართა ფიფას ძალზე უცნაური მოთხოვნით — მოლდოველი მოითხოვდა საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონისთვის" მისი „კუთვნილი ხელფასის" გადახდის დაკისრებას (საუბარია ფეხბურთელის კლუბში არყოფნის პერიოდზე!).

ნუდნის ამ მოთხოვნას საფეხბურთო კლუბმა „ზესტაფონმა" საპასუხო პრეტენზია წამოუყენა. ქართულმა კლუბმა მოითხოვა, ფეხბურთელს დაკისრებოდა იმ „ბონუსის" თანხის დაბრუნება, რომელიც მან თავის დროზე კლუბისაგან მიიღო.

რამდენიმე დღის წინ კი იმერული კლუბის ოფისში ციურიხიდან მოვიდა წერილი, რომელშიც საუბარია იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ფიფას დავების განხილვის სამსახურმა მიიღო ზემოთხსენებულ დავასთან დაკავშირებით. მსოფლიო ფეხბურთის უმაღლესი ინსტანციის გადაწყვეტილების თანახმად, ფეხბურთელს უარი ეთქვა მის მიერ წამოყენებული პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე. გარდა ამისა, მას დაეკისრა იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მან მიაყენა საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს" კონტრაქტით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობით.

უახლოეს პერიოდში ფიფამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" კიდევ ერთ სარჩელთან დაკავშირებით, რომელიც გაბონელების — პოლ ულრიხ კესანისა და ეტიენ პანაიოტის ბიტოოს მიერ კონტრაქტით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობას უკავშირდება. ქართული კლუბი მოითხოვს ფეხბურთელების დისციპლინარულ დასჯას და გაბონელების მიერ საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონისთვის" მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

*„ზესტაფონის" პრესსამსახური*



ახალციხის „მესხეთი" 2 000 ლარით დაისაჯა

# სადისციპლინო კომიტეტმა შფოთიანები დასაჯა!

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტს ბლომად საქმე დაუგროვდა — გასულ უქმეებზე უმაღლეს და პირველ ლიგაში ბევრი შფოთი იყო, რასაც შესაბამისი ვერდიქტები მოჰყვა.

დავიწყოთ „მესხეთი" — „დინამოს" მატჩით, რომელშიც მასპინძელთა მხარე აღშფოთებული იყო, დინამოელებმა პირველი ორი გოლი წესების დარღვევით გაგვიტანესო. შეხვედრაზე მივლენილი ოფიციალური პირების ცნობით, პირველი ტაიმისას, 28-ე და 43-ე წუთებზე „მესხეთის" პრეზიდენტი გია მესხელი შეიჭრა მოედანზე, ცდილობდა, თავისი გუნდის მინდვრიდან გაყვანას და თამაშის ჩაშლას.

მესხელის მოქმედებამ გულშემატკივრების აგრესია (ჯერ მსაჯების, მერე კი ფეხბურთელების მიმართ ქვებისა და სხვადასხვა საგნების სროლა) გამოიწვია, ზოგიერთი ქომაგი მინდორზე აპირებდა შეჭრას.

ამის გამო „მესხეთი" 2 000 ლარით დაჯარიმდა.

„ვიტ ჯორჯია" — „ზესტაფონის" ნამატჩევს იმერელთა მცველმა უჩა ლობჯანიძემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯებს და შედეგად, ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია და 300-ლარიანი ჯარიმა მიიღო.

„ბორჯომი" — „ლოკომოტივის" მატჩში თბილისელთა ფორვარდმა რატი ალექსიძემ გოლის გატანა უხამსი ჟესტით გამოხატა, რითაც შეურაცხყოფა მიაყენა ადგილობრივ გულშემატკივრებს. სადისციპლინო კომიტეტმა ალექსიძე და „ლოკომოტივის" სხვა ფეხბურთელები გააფრთხილა, რომ მსგავსი ჟესტებისგან თავი შეიკავონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გუნდები ფინანსურ სანქციებს ვერ ასცდებიან.

და პირველ ლიგაში, „ბაია" — „სამტრედიას" მატჩის შემდეგ სტუმართა გუნდის მწვრთნელმა ლევან ანჯაფარიძემ სიტყვიერად შეურაცხყო მსაჯთა ბრიგადა (მთავარი მსაჯი არსენ ნონიკაშვილი გახლდათ). ანჯაფარიძე ორი თამაშით და 150 ლარით დააჯარიმეს.

მწვრთნელთან ერთად, მოედანზე „სამტრედიას" გუნდის უფროსი დავით ბურკაძეც შეჭრილა, რომელსაც ასევე „ტკბილი" სიტყვებით მოუხსენიებია მსაჯი და მის ფიზიკურ შეურაცხყოფასაც შეეცადა.

ბურკაძე ადრეც ყოფილა დადანაშაულებული მსგავს ინციდენტებში, ამჯერად კი 4 თამაშით დასაჯეს და 250 ლარით შეუთხელეს ჯიბე. პლუს, 2009 წლის 31 მაისამდე პირობითი დისკვალიფიკაცია მისცეს.

**ილია ნანობაშვილი**

# სუპერახალი თასით 3 დეკემბერს ვაკეში

**გადაწყდა,** რომ სუპერთასის მატჩი თბილისის „დინამოსა" და „ზესტაფონს" შორის 3 დეკემბერს „მიხეილ მესხზე" გაიმართება.

საათი ჯერ უცნობია, თუმც როგორც საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა გვითხრა, დაგეგმილია, რომ მეორე ტაიმმა მაინც განათების ქვეშ ჩაიაროს.

და კიდევ, 3 დეკემბერს გამარჯვებულ გუნდს ახალი თასი გადაეცემა.

შეხსენებისთვის, ბოლო ორი სუპერთასი თბილისის „ამერმა" მოიგო — შარშან რუსთავის „ოლიმპს" 4:1 სძლია, შარშანწინ კი ბოლნისის „სიონს" 1:0 მოუგო.

**ილია ნანობაშვილი**

# გეწაძეს გოლი ტრავმამ ჩაუშხამა

**ბაქოს** „ოლიმპიკის" ნახევარმცველმა რევაზ გეწაძემ „გაბალასთან" მატჩში ტრავმა მიიღო და შაბათს „სიმურგთან" ვერ ითამაშებს.

არადა, გეწაძემ კარგად ითამაშა „გაბალასთან", გადამწყვეტი გოლი შეაგდო და პრესისგან ქება დაიმსახურა. „აზერისპორტმა" დაწერა კიდეც, გეწაძისნაირი გარემარბი ჩვენს ჩემპიონატში იშვიათობააო.

**ილია ნანობაშვილი**

# ბალაკის კაპიტნობას წყალი შეუდგა



**შანსია,** მიხაელ ბალაკი გერმანიის ნაკრების კაპიტნობიდან გადააყენონ.

ზოგადად ასეა: კლუბი თუ ნაკრები ერთი გუნდია და თუ შიგნით რამე უსიამოვნო ხდება, შიგნითვე უნდა დარჩეს. ხოლო თუ უკმაყოფილება გარეთ გამოდის, გამომტანი შედეგებისთვის მზად უნდა იყოს.

და რა გააკეთა ბალაკმა? ბუნდესნაკრების სამწვრთნელო შტაბზე ორიოდე ურიგო სიტყვა წამოსცდა, სხვაგვარად — მკაცრად გააკრიტიკა.

ესეც არ დაგვავიწყდეს, რომ კრიტიკის ავტორი ნაკრების კაპიტანია, ანუ მის სიტყვას ორმაგი ძალა აქვს.

ბუნდესნაკრების მთავარი მწვრთნელის იოახიმ ლიოვის დამოკიდებულება კაპიტნის კრიტიკისადმი მისი ამ სიტყვებიდანაც ჩანს: „მიხაელის სიტყვებმა ძალიან გამანაწყენა. ასეთი საქციელის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. საუბარი მოგვიწევს, რის მერეც საჭირო ზომებს მივიღებთ. კონკრეტულად როგორს, ჯერ არ ვიცი. ერთს კი ვიტყვი, რომ არავს, ნაკრების კაპიტანსაც კი, მწვრთნელის მუშაობის კრიტიკის უფლება არ აქვს."

დანარჩენი კი თავშივე მოგახსენეთ: საჭირო ზომა, დიდი შანსია, ბალაკის კაპიტნობიდან გადარჩევა იყოს.

**კოტე კეკელია**

# ხოცვა-ჟლეტა პრემიერლიგაში



**ტომას სიორენსენმა** ალან ჰატონს მის ძალად დაშავებაში დასდო ბრალი. საქმე კი სახუმარო ნამდვილად არ გახლავთ — „სტოკ სიტის" მეკარე „ტოტენჰემის" მცველთან შეჯახებამ კინაღამ დააბრმავა.

გოლკიპერი ამბობს, რომ ჰატონს ამ შეჯახებისთვის თავის არიდება თავისუფლად შეეძლო, მაგრამ ეს არ გააკეთა. შედეგად, სიორენსენს სახე გაეჭრა და თორმეტი ნაკერი დაადეს.

„ერთი მილიმეტრიც და თვალისჩინს დავკარგავდი — უამბო ჟურნალისტებს სტოკელმა კარის მცველმა — ნაკერები შიგ თვალის ბუდეში დამადეს. დაბრმავებას სასწაულებრივ გადავურჩი. ეს ყველაფერი უკვე ხუმრობა და გართობა აშკარად აღარ არის. ცუდი კი ისაა, რომ მას ბურთის მისწრების ვარიანტი აღარ ჰქონდა, მაგრამ მაინც არ დაიხია უკან და ჩემი დამტვრევის რისკის ფასად სცადა შეუძლებლის გაკეთება. კიდევ კარგი, ექიმებმა ჩინებულად იმუშავეს".

**პაპუნა კედია**



SLOT POKER CLUB VEGA

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. III ტური

## E ჯგუფი



ვილიარეალი 6:3 ოლბორგი

0:1 საგანოვსკი (19), 1:1 როსი (28), 2:1 კაპდევილა (33), 2:2 ენევოლდსენი (36), 3:2, 4:2 იორენტე (67, 70), 4:3 კაპდევილა (77ს.კ.), 5:3 პირესი (79), 6:3 იორენტე (84)

ვილიარეალი: ლოპესი, ფუენტესი, გონსალო, კაპდევილა, ანხელ ლოპესი, ედმილსონი (ბრუნო 65), სენა, ფერნანდესი (პირესი 64), კასორლა, ფრანკო (იორენტე 46), როსი

მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი

ოლბორგი: ზაზა, იაკობსენი, ოლფერსი, პედერსენი, ბოგელუნდი, ენევოლდსენი, იოჰანსონი, აუგუსტინუსენი, დუპ კურტი, საგანოვსკი

მწვრთნელი: ბრიუს რიოჩი

გაფრთხილება: პედერსენი

მსაჯი: ფლორიან მაიერი (გერმანია)

22 000 მაყურებელი

მანჩესტერი 3:0 სელტიკი

1:0, 2:0 ბერბატოვი (29, 51), 3:0 რუნი (76)

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ვიდიჩი, ევანსი, ოში, ნევილი (ბრაუნი 60), ანდერსონი, ფლეტჩერი, ნანი, რონალდუ (პარკი 82), რუნი, ბერბატოვი (ტევესი 60)

### გაიტანე და ისეირნე

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

სელტიკი: ბორუცი, მაკმანუსი, ლოვენსი, ნეილორი, უილსონი, ბრაუნი, კოლდუელი, ნაკამურა (ჰართლი 62), რობსონი (მელონი 62), მაკგრიდი, მაკდონალდი (ფერიდანი 77)

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

გაფრთხილება: ჰართლი, ლოვენსი

მსაჯი: ფრანკ დე ბლეკერი (ბელგია)

74 655 მაყურებელი

**ნაირნაირი** გოლები გავიდა „ელ მადრიგალზე", სადაც „ვილიარეალი" ევროთასებზე 1:0-ზე მეტს ძალიან იშვიათად თუ იგებს.

ამჯერად „ყვითლებს" მადა გაეხსნათ და „ოლბორგის" კარიც გახსნეს, თუმც თავიდან მოულოდნელად სტუმრები დაწინაურდნენ.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა ხოსება ლიორენტემ თავი გაიგიჟა და დანიელ სტუმრებს ჰეთ თრიქი შეუსრულა.

მატჩის დასრულებიდან ერთ საათში, სამი გოლის ავტორი ვილიარეალის ქუჩებში თურმე შვილს დაასეირნებდა.

„ჩემი გოლებიდან მეორეს გამოვყოფ, როცა პირემა პასი მომაწოდა — თქვა იორენტემ — თვითონაც შეეძლო გატანა, მაგრამ არ იძუნწა, რაც მის სულგრძელობაზე და „ვილიარეალის" ერთიანობაზე მეტყველებს. ყველა ერთისთვის და ერთი ყველასთვის. ალბათ ეს იყო საუკეთესო ტაიმი ჩემს კარიერაში. სხვა ბევრი კარგი მატჩიც მქონია, მაგრამ ეს განსაკუთრებულია, რადგან ჩემპიონთა ლიგისაა და თან თავიდან ვაგებდით.

შესვენებაზე მწვრთნელმა გვითხრა, რომ პრესინგი გვეთამაშა მოედნის ცენტრშიც და მეტოქის მცველებთანაც, რადან ისინი გრძელ პასებს აძლევდნენ ფორვარდებს. პელეგრინის არ მოეწონა, სამი გოლი რომ გავუშვით და ოლბორგში, საპასუხო მატჩში მეტოქეს ამდენის უფლება აღარ უნდა მივცეთ. დანიაში აუცილებლად უნდა მოვიგოთ, რადგან ბოლო ორ ტურში „მანჩესტერთან" „სელტიკთან" უმძიმესი შეხვედრები გველის".

„სელტიკს" ჩემპონთა ლიგაში სტუმრად თვრამეტი მატჩში არ მოუგია და რაღა „მანჩეტერთან" მოგებდა, რომელიც უეინ რუნის თამადობით საუცხოო ფორმაშია. დუბლის შემსრულებელ დიმიტარ ბერბატოვზე ალექს ფერგიუსონმა თქვა: „ფანტასტიკური იყო. კვლავ ბრწყინვალედ ითამაშა. ის წყნარადაა საჯარიმოში, მაგრამ საქმეს ფრიადზე აკეთებს. ვფიქრობ, რომ მის სათამაშო ყაიდას თანაგუნდელებმა ალღო აუღეს. პასებიც უზუსტესი იცის, რაც დღეს სამი-ოთხჯერ ვნახე. უკვე ხუთი გოლი გაიტანა და დიდად შეგვეწია გამარჯვებებში".

„ბევრ ევროპულ გრანდთან გვითამაშია, მაგრამ დღევანდელი „მანჩესტერი" მათ შორის საუკეთესოა — შეაქო მეტოქე გორდონ სტრაჩანმა — ასეთი სრულყოფილი ფეხბურთი კარგა ხანია არ მინახავს. უეინ რუნი განსაკუთრებულია. თან მას ზურგს მსოფლიო კლასის სხვა მოთამაშეები უმაგრებენ, ასეთი გუნდის დამარცხება ჩვენ კი არა, ევროპის ბევრ ძლიერ კლუბს გაუჭირდება".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:0 | 7 |
| ვილიარეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| სელტიკი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |
| ოლბორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:9 | 1 |

## F ჯგუფი

### კლინსმანი: ჩვენ გამოვფხიზლდით!

ბაიერნი 3:0 ფიორენტინა

1:0 კლოზე (4), 2:0 შვაინშტაიგერი (25), 3:0 ზე რობერტუ (90)

ბაიერნი: რენზინგი, დემიკელისი, ლუსიუ, ლამი (ლელი 46), ოდო, ზე რობერტუ, ვან ბომელი, რიბერი, შვაინშტაიგერი (ბოროვსკი 65), ტონი (პოდოლსკი 57), კლოზე

მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი

ფიორენტინა: ფრეი, დაინელი, გამბერინი, ვარგასი (გობი 74), ძაური, მელუ, მონტოლივო, კუზმანოვიჩი, მუტუ, ჯილარდინო, სანტანა (ოსვალდო 65)

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

გაფრთხილება: ოდო, რიბერი, კუზმანოვიჩი, დაინელი, გობი

მსაჯი: ოლეგარიუ ბანკერესა (პორტუგალია)

66 000 მაყურებელი

სტიაუა 3:5 ლიონი

1:0 არტურო (8), 2:0 გოიანი (11), 2:1 კეიტა (23), 2:2 ბენზემა (33), 3:2 პეტრე (45), 3:3 ფრედი (69), 3:4 ბენზემა (71), 3:5 ფრედი (90)

სტიაუა: საპატა, რედოი, გოიანი, მარინი, ოგარარუ, ლოვინი (კაპეტანოსი 82), პეტრე (გიონეა 57), არტურო, მორენო, სემედუ (ტოია 65), ნიკოლიცე

მწვრთნელი: მარიუს ლეკატუში

ლიონი: ლორისი, ბუმსონგი, კრისი, გროსო, რევეიერი, ტულალანი, ჟუნინიო (კალსტრომი 87), მაკუნი, ედერსონი, ბენზემა (მუნიე 81), კეიტა (ფრედი 67)

მწვრთნელი: კლოდ პიუელი

გაფრთხილება: ნიკოლიტა, ტულალანი

მსაჯი: გჟეგოჟ გილევსკი (პოლონეთი)

20 000 მაყურებელი

**ლუკა ტონიმ** თავისი ყოფილი კლუბის, ფლორენციის „ფიორენტინას" წინააღმდეგ თამაში შეძლო და „ბაიერნს" გამარჯვების მოპოვებაშიც დაეხმარა. მართალია, თავად არ გაუტანია, მაგრამ მიუნხენელთა პირველი ორი გოლისას მიროსლავ კლოზესაც გვარიანად წაეხმარა და ბასტიან შვაინშტაიგერსაც. მესამე გოლი „იების" კარში მატჩის მიწურულს ზე რობერტუმ გაიტანა, ბრწყინვალე მოჭრილი დარტყმით.

„ბაიერნის" ასეთი ადვილი გამარჯვება ალბათ ცოტა მოულოდნელი იყო. „ფიორენტინა" უშანსოდ იყოო, ვერ ვიტყვით, მაგრამ მიუნხენელებმა აშკარად უკეთ ითამაშეს და დამსახურებულადაც მოიგეს, რითაც თითქმის გაინაღდეს შემდეგი ეტაპის საგზური.

„პირველ ათ წუთში გავიაზრე, რომ ჩვენ საბოლოოდ გამოვფხიზლდით და ბოლომდე ვიბრძოლებთ. ფიზიკურად ბრწყინვალედ ვართ მზად და ყველაფერი კარგად მიდის. ეს გახლდათ გახსნილი მატჩი, რომელშიც ორივე გუნდი შემტევ ფეხბურთს თამაშობდა და მომენტები მრავლად იყო. შეიძლებოდა, 3:2-თაც დამთავრებულიყო. შევძელით, რიტმი მთელი მატჩის განმავლობაში შეგვენარჩუნებინა და ჩვენს სტილში ვითამაშეთ. ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ის დიდი სამუშაო, რომელიც წინასასეზონო პერიოდში გავწიეთ, ნელ-ნელა თავს იჩენს. ვიცით, რომ ფრანკ რიბერის კიდევ უნდა გარკვეული დრო, რათა ფორმა დაიბრუნოს და მას მთელი გუნდი მხარში უდგას" — თქვა „ბაიერნის" მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა.

„ფიორენტინას" თავკაცი ჩეზარე პრანდელი: „შეცდომები ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია, სხვაგვარად ყველა მატჩი 0:0 მორჩებოდა. თუმცა შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ და თამაში დავხვეწოთ. ეს კარგი გაკვეთილი იყო ჩვენთვის. „ბაიერნისგან" განსხვავებით, ახალგაზრდა გამოუცდელი გუნდი გვყავს. დასანანია, რომ რამდენიმე შემთხვევაში გოლამდე სულ რაღაც მილიმეტრები დაგვაკლდა. ახლა სახლში დარჩენილი ორივე მატჩი უნდა მოვიგოთ, რომ ჯგუფიდან გასვლის შანსი გვქონდეს".

ვინ იფიქრებდა, თუ ბუქარესტში ასეთი საფეხბურთო თრილერი შედგებოდა. „სტიაუა" უკვე მე-11 წუთზე 2:0-ს იგებდა, „ლიონმა" ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ტაიმის მიწურულს პეტრეს თავურით რუმინელები ისევ წინ გავიდნენ. მეორე ნახევარშიც ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ...

პირველად არ ხდება, როცა „სტიაუა" კარგად თამაშობს, თითქოს მოსაგები მატჩი აქვს და საბოლოოდ მარცხდება. მასპინძლებს ყველაფერი წყალში ორწუთიან მონაკვეთში ჩაეყარათ. 69-ე წუთზე ფრედმა ანგარიში გაათანაბრა, 71-ეზე კი ბენზემამ თავისი მეორე გოლი შეაგდო და ფრანგები წინ გაიყვანა.

რუმინელები ამაოდ ცდილობდნენ გათანაბრებას. ბოლოს კი აქეთ გაუშვეს — ფრედმაც დუბლი გააზრა.



„ლიონის" პირველი გოლი კი ქადერ კეიტას ანგარიშზეა, მან ჩინებული, ძლიერი დარტყმით იხეირა.

„სტიაუას" მწვრთნელი მარიუს ლეკატუში: „ძალიან გულდაწყვეტილი ვარ, რადგან თავისუფლად შეგვეძლო ამ შეხვედრის მოგება, მაგრამ ვერ შევძელით, რადგან თავდაჯერებულობა გვაკლდა და ზედმეტად ბევრი შეცდომა დავუშვით. მარტო უბრალო შეცდომებზეც არ არის — რასაც ჰქვია, ვაჩუქეთ გოლები „ლიონის" დარ გუნდს.

„ბრწყინვალე მატჩი იყო, განსაკუთრებით მის დრამატულ მსვლელობას თუ გავითვალისწინებთ. 0:2-ს ვაგებდით და მებრძოლი ხასიათი გამოვავლინეთ. მერე 2:3-ც იყო, მაგრამ მაინც მოვიგეთ. ახლა „სტიაუასთან" მეორე მატჩისთვის უნდა მოვემზადოთ, რომელიც ადვილი ნამდვილად არ იქნება" — განაცხადა ფრანგთა თავკაცმა კლოდ პიუელმა.

**კოკი კანდელაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ლიონი | 3 | 1 | 2 | 0 | 8:6 | 5 |
| ფიორენტინა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| სტიაუა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. III ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## G ჯგუფი



# ალიევმა თხუთმეტი მოკლა

**ფენერბაჰჩე 2:4 არსენალი**

0:1 ადებაიორი (10), 0:2 უოლკოტი (11), 1:2 სილვესტრი (19ს.გ.), 1:3 დიაბი (21), 1:4 ბილონგი (69), 2:4 გუისა (78)

**ფენერბაჰჩე:** ვოლქან დემირელი, ედუ ლუგანო, რობერტო კარლოსი, გოქნული (ილმაზი 80), შაჰინი, მალდონადო (ბილგინი 62), გუისა, ალექსი, ბორალი, სემიში

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

**არსენალი:** ალმუნია, სილვესტრი, სონგი, კლიში, ებუე, დენილსონი, ფაბრეგასი, ნასრი, უოლკოტი (ჟურუ 84), ადებაიორი (ველა 86), დიაბი (რემსი 73)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: შაჰინი, ლუგანო, სემიში, სონგი, დიაბი

მსაჯი: პეტერ ფრიოდფელდტი (შვედეთი)

49 521 მაყურებელი

**პორტუ 0:1 დინამო**

0:1 ალიევი (27)

**პორტუ:** ნუნუ, ალვეში, როლანდუ, ლინო, სეპუნარუ, ფერნანდუ (ჰულკი 46), მეირელეში, ლ. გონსალესი, როდრიგესი (სექტიუი 63), ლოპესი, მ. გონსალესი (კოშტა 68)

მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა

**დინამო:** ბოგუში, მიხალიკი, დიაკატე, ნესმაჩნი, ბეტაო, ელ კადური, ვუკოევიჩი, ბანგურა (მილევსკი 46), ალიევი, ნინკოვიჩი (ასათიანი 83), გიოანი (ერემენკო 60)

მწვრთნელი: იური სიომინი

გაფრთხილება: როლანდუ, ნესმაჩნი

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

37 000 მაყურებელი

**ოთხ** წელიწადში პირველად, კიევის „დინამომ" ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების გემო გაიგო. უკრაინულ კლუბს ამ ტურნირში ზედიზედ 15 მატჩში არ მოეგო და ალიევის ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმით დანავსული სერია „დრაგაუზე" შეწყვიტა.

„დინამო" მეორე ადგილზე გადავიდა და ახლა უკვე სამმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს.

ჟესუალდუ ფერეირა: „ორი განსხვავებული ტაიმი ვნახეთ. პირველ ნახევარში შემტევი ფეხბურთი ვითამაშეთ და წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით.

„დინამომ" ერთხელ დაარტყა კარში და გაიტანა, ჩვენ კი სამი-ოთხი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ვიცოდი, რომ ძნელი იქნებოდა იმ გუნდის დამარცხება, რომელიც უმეტესად დაცვაში დგას. ისე ითამაშეს, თითქოს პლეი-ოფის მატჩი იყო და ერთ-ერთი უნდა გავარდნილიყო.

მეორე ტაიმში მეტოქის ტაქტიკა უფრო მეტად დაცვითი გახდა და ეპიზოდებში ბურთის კონტროლი ჩვენც გაგვიჭირდა.

საპასუხო გოლი გონზე მოგვიყვანდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გავიტანეთ. ჯგუფიდან გასასვლელად აუცილებლად უნდა მოვიგოთ კიევში და სტამბოლში.

ფეხბურთელებთან სასაყვედურო არაფერი მაქვს. თავი არ დაუზოგავთ და ამისთვის ქებას იმსახურებენ".

იური სიომინი: „ძალიან კმაყოფილი ვარ, რაკი გუნდმა 15-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა და, თუ არ ვცდები, აქამდე პორტუგალიაში არასოდეს მოეგო.

გოლის შემდეგ მეტოქის იერიშებთან გამკლავება გაგვიჭირდა, ჩვენ კი ვფრთხილობდით და ვერ ვუტევდით. „პორტუ" მაღალი კლასის გუნდია, მაგრამ გავუძელით და სამი ქულა დავიმსახურეთ. ჩემმა გუნდმა და განსაკუთრებით მეკარემ კარგად ითამაშა.

კიდევ ორი საშინაო მატჩი დაგვრჩა და მიზანი ჯგუფიდან გასვლაა და არა მესამე ადგილი და უეფას თასზე გადასვლა".

ლონდონის „არსენალს" თურქული კლუბებისგან აქამდე გოლი არ გაეშვა და სტამბოლში „ფენერბაჰჩემ" ორი გაუტანა, მაგრამ მასპინძლებმა საპასუხოდ ხუთი მიიღეს.

„ფენერი" „მეთოფეებმა" ორ წუთში მოკლეს, როცა ადებაიორმა და უოლკოტმა ზედიზედ შეყარეს გოლები და სტუმრებმა ისე გაილალეს, რომ ევროთასებზე „ფენერბაჰჩეს" 15-მატჩიანი წაუგებელი საშინაო სერია კოშმარული მარცხით დაუსრულეს.

„აქ თამაში ყველას უჭირს და „შუქრუ სარაჯოღლუზე" ასეთი ანგარიშით მოგება ორმაგად სასიხარულოა. ტექნიკით და პასებით მეტოქეს აშკარად ვაჯობეთ"— თქვა არსენ ვენგერმა.

ლუის არაგონესი: „ჩვენ გუნდს არ ვგავდით. შეტევაში გავრბოდით და დაცვა არავის ახსოვდა".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 3 | 2 | 1 | 0 | 10:3 | 7 |
| დინამო | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| პორტუ | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ფენერბაჰჩე | 3 | 0 | 1 | 2 | 3:8 | 1 |

## H ჯგუფი




**ზენიტი 1:1 ბატე**

0:1 ნეხაიჩიკი (52), 1:1 თეკე (80)

**ზენიტი:** მალაფეევი, კრიჟანაცი (დომინგესი 69), შიროკოვი, ტიმოშჩუკი, შირლი, ანიუკოვი, დანი, ზირიანოვი (პოგრებნიაკი 76), დენისოვი, არშავინი, თეკე

მწვრთნელი: დიკ ადვოკატი

**ბატე:** ვერემკო, სოსნოვსკი, რჟევსკი, იურევიჩი, ხაგუში, ლიხტაროვიჩი (სივაკო 68), ვალადკო, როდიონოვი, ბლიზნიუკი, სტასევიჩი (ნეხაიჩიკი 46), კრივეცი (მირჩევი 85)

მწვრთნელი: ვიქტორ გონჩარენკო

გაფრთხილება: ვერემკო

მსაჯი: პედრუ პროენსა (პორტუგალია)

20 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 2:1 რეალი**

1:0 დელ პიერო (5), 2:0 ამაური (49), 2:1 ვან ნისტელროი (66)

**იუვენტუსი:** მანინგერი, კიელინი, ლეგროტალიე (მელბერგი 46), მოლინარო, გრიგერა, მარკისიო (სალიჰამიჯიჩი 38), სისოკო, ნედვედი, მარკიონი, დელ პიერო, ამაური (იაკვინტა 78)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

**რეალი:** კასილიასი, კანავარო, პეპე, ჰაინცე, რამოსი, გაგო, სნეიდერი, ვან დერ ვაარტი (დრენტე 76), რაული, ვან ნისტელროი, იგუაინი (რობენი 54)

მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი

გაფრთხილება: ამაური

მსაჯი: ვოლგანგ სტარკი (გერმანია)

25 813 მაყურებელი

**ტურინის** „იუვენტუსმა" მიუხედავად არაერთი ფეხბურთელის დანაკლისისა და არცთუ კარგი სათამაშო ფორმისა, შეძლო და, საკუთარ კედლებში მაინც დაამარცხა მადრიდის „რეალი".

„ბებერმა ქალბატონმა" თავიდანვე აქტიურად დაიწყო და მე-6 წუთზე დაჯილდოვდა კიდეც. ალესანდრო დელ პიეროსა და ამაურის ჩინებულ კომბინაციას „იუვეს" კაპიტნის დიდებული დარტყმა მოჰყვა და — 1:0.

„რეალი" პირველ ტაიმში ფაქტობრივად ვერაფერს ქმნიდა და საკმაოდ უსუსურად გამოიყურებოდა. აი მეორეში კი მადრიდელები ძალიან გამოცოცხლდნენ და აშკარა უპირატესობასაც დაეუფლნენ, მაგრამ იქამდე ტურინელთა მეორე გოლზე ვთქვათ — ნედვედის ჭკვიანური ჩაწოდების შემდეგ, ამაურის თავურს გაბიელ ჰაინცემ უნებურად ოდნავ შეუცვალა მიმართულება და ბურთიც კარში აღმოჩნდა.

„რეალმა" არაერთი მწვავე მომენტი შექმნა. აქტიურობდა დაულალავი უესლი სნეიდერი. ერთხელ ბურთი ალექს მანინგერის კარის ძელსაც მოხვდა, მაგრამ ერთადერთი, რაც მადრიდელებმა შეძლეს, რუუდ ვან ნისტელროის თავურით გატანილი გოლი გახლავთ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ტურინელთა მხრიდან ამაურისა და დელ პიეროსთან ერთად ჯორჯო კიელინისა და მოჰამედ სისოკოს ბრწყინვალე თამაში. სისოკომ ყველაზე მაღალი შეფასებაც მიიღო. მატჩისას დაშავებული კლაუდიო მარკიზიო კი დაახლოებით 25 დღე ვერ ითამაშებს.

„იუვეს" მწვრთნელი კლაუდიო რანიერი: „წარუმატებელი მატჩების მერე, როგორც იქნა, ცოტა გაგვიმართლა. ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ბიჭებმა ისევ საოცრად მებრძოლი სული გამოავლინეს და დაამტკიცეს, რომ არასოდეს ნებდებიან. „რეალის" დასამარცხებლად უმაღლეს დონეზე თამაში გჭირდება და ჩვენ ეს შევძელით, მიუხედავად ბევრი ფეხბურთელის არყოფნისა".

„სამწუხაროდ, ამჯერად არც სწრაფი გოლის გატანა გამოგვივიდა და მომენტებიც ვერ გამოვიყენეთ. „იუვენტუსს" არ გავუკვირვებივართ კარგი თამაშითა და დებიუტიდანვე აქტიურობით, მათ ცუდი პერიოდი ჰქონდათ და მისი გამოსწორება სწყუროდათ. ახლა ტურინელების დამარცხება და პირველი ადგილის დაბრუნება მადრიდში უნდა ვცადოთ, მოგება მერვედფინალისკენ გზას საგრძნობლად გაგვიადვილებს".

თუ სანკტ პეტერბურგის „ზენიტს" აქამდე რეალური პრეტენზია ჰქონდა შემდეგ ეტაპზე გასვლისა, ახლა იმაზე უნდა იფიქროს, მესამე ადგილი მაინც მოიპოვოს. უეფას თასის მფლობელს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასვლის შანსი მიზერულამდე შეუმცირა სახლში „ბატე-სთან ვერმოგების შემდეგ.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „ზენიტმა" უამრავი ძალიან მწვავე მომენტი შექმნა და ბევრი გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ხან სერგეი ვერენკო ყოჩაღობდა, ხან ძელს ხვდებოდა ბურთი და საოცარად არ შედიოდა კარში. ერთხელ არშავინმა თანაგუნდელ ფათიჰ თეკესაც გაარტყა და ბელარუსები ასე გადარჩნენ აშკარა გოლს.

მასპინძლები სულაც აგებდნენ, მაგრამ მე-80 წუთზე თეკემ ბოლო ბოლო შეძლო და ვერენკოს კარში ერთი გოლი მაინც გაიტანა.

**გიორგი ძაძაგაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ბატე | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |
| ზენიტი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |

UEFA CUP

# უეფას თასი 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. I ტური

# როტერდამელებისთვის შესვლა აკრძალულია


ორი წლის წინ „ნანსი“ — „ფეიენოორდი“ ასე დასრულდა

### I ჯგუფი

**შალკე — პსჟ**

**ტვენტე — რასინგი**

პოლ ლე გუენის გუნდები ბუნდესლიგელებთან ტრადიციულად კარგად თამაშობენ და პსჟ-ც გელზენკირხენში ამ იმედით ჩადის.

ფეხბურთელობისას თუ მწვრთნელობისას, ლე გუენი გერმანულ კლუბებს რვაჯერ გადაეყარა. ექვსჯერ გაიმარჯვა და ერთი თამაშიც ფრედ დაასრულა.

„შალკეს“ ფრანგულ გუნდთან ორჯერ უთამაშია. უეფას თასზე (2006-07) „ნანსის“ შინ 1:0 მოუგო და სტუმრად 1:3 დამარცხდა.

პსჟ ბუნდესლიგელებიდან მხოლოდ „ბაიერნს“ შეხვედრია. ექვსი მატჩიდან მიუნხენელებს ოთხჯერ სძლია და ორი მატჩი (ორჯერვე სტუმრად) წააგო.

შალკელი ურუგვაელები კარლოს გროსმიულერი და გუსტავო ვარელა უდისციპლინობის გამო მეორე გუნდში გადაიყვანეს. მწვრთნელმა ფრედ რუტენმა თქვა, რომ ტრავმების მოშუშებას თუ მოასწრებენ, ლევან ყენია, ლევან კობიაშვილი, მლადენ კრსტაიჩი და კრისტიან პანდერი პსჟ-სთან განაცხადში იქნებიან.

პსჟ-მ ჩემპიონატში „ლორიანს“ შინ 3:2 მოუგო, „შალკე“ კი სტუმრად „ჰამბურგს“ დაუზავდა — 1:1.

„ტვენტე“ „რასინგს“ უმასპინძლებს, რომელიც ჰოლანდიურ კლუბს პირველად შეხვდება. აქამდე „ტვენტე“ პრიმერადივიზიონელს ორჯერ ეთამაშა. შარშან შინ „ხეტაფეს“ 3:2 მოუგო, 36 წლის წინ კი „ლას პალმასს“ — 3:0.

კვირას „რასინგი“ სანტანდერში „დეპორტივოს“ უგოლოდ გაეყარა, ხოლო „ტვენტემ“ „ჰერაკლესი“ 2:0 დაამარცხა.

### II ჯგუფი

**გალათასარაი — ოლიმპიაკოსი**

**ჰერტა — ბენფიკა**

დიდი რია-რია იქნება სტამბოლში „ალი სამი იენიზე“, სადაც „ოლიმპიაკოსს“ ტკბილი სალამო ნამდვილად არ ელის.

ეს გუნდები ჩემპიონთა ლიგაშიც (2003-04) შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ თურქებმა შინ 1:0 მოიგეს, სტუმრად კი 0:3 დამარცხდნენ.

„გალას“ „ოლიმპიაკოსის“ გარდა ბერძნულ „პანიონიოსთანაც“ უთამაშია. ეს იყო წინა სეზონის უეფას თასზე და „გალათასარაიმ“ გასვლაზე 3:0 იმარჯვა.

დღეს თურქებს ჰასან შაში ვერ დაეხმარება, რომელმაც მუხლზე ოპერაცია გაიკეთა და გუნდს, სავარაუდოდ, ახალ წლამდე დააკლდება.

„ოლიმპიაკოსმა“ კვირას „პანთრაკიკოსს“ 2:0 სძლია, „გალამ“ კი „ტრაბზონს“ — 3:0.

„ბენფიკას“ მწვრთნელი კიკე ფლორესი გუნდის დანავსული სერიის შეწყვეტას შეეცდება. „არწივებმა“ გერმანიაში ნათამაშები თხუთმეტი მატჩიდან 11 წააგეს და ოთხჯერ ფრე გაახერხეს. „ჰერტა“ პორტუგალიურ კლუბებს ოთხჯერ შეხვდა. ერთი თამაში მოიგო და სამჯერ დამარცხდა.

„ბენფიკა“ კვირას თასზე „პენაფიელს“ შინ უგოლოდ დაუზავდა და პენალტებში აჯობა, ხოლო „ჰერტამ“ ბუნდესლიგაში „შტუტგარტი“ ბერლინიდან ხელცარიელი გაისტუმრა — 2:1.

### III ჯგუფი

**პარტიზანი — სამპდორია**

**სევილია — შტუტგარტი**

„სამპდორია“ ბელგრადში 17 წლის შემდეგ ბრუნდება. ჩემპიონთა თასის (1991) ჯგუფურ ეტაპზე გენუელები „ცრვენა ზვეზდას“ შეხვდნენ და ორჯერ მოუგეს: შინ 2:0, სტუმრად კი 3:1.

იტალიურ კლუბებთან 12 მატჩში „პარტიზანი“ შვიდჯერ დამარცხდა, ოთხჯერ ფრე გაახერხა და ერთხელ, ბელგრადში უეფას თასზე (1988-89) „რომას“ 4:2 სძლია.

სერია A-ში „სამპდორიამ“ კვირას „მილანთან“ გასვლაზე 3:0 წააგო, ხოლო „პარტიზანი“ შინ „იავორ ივანიჩას“ დაუზავდა — 2:2.

უეფას თასის ორგზის მფლობელი „სევილია“ „შტუტგარტს“ დაუხვდება. გერმანულ კლუბებთან ოთხი მატჩიდან სამში „სევილიამ“ იმარჯვა და ერთხელ ფრე ითამაშა. თან, ბუნდესლიგელებისგან „სანჩეს პისხუანზე“ გოლი არ გაუშვია.

ესპანეთში „შტუტგარტის“ ოთხი სტუმრობიდან სამი მატჩი გერმანელთა მარცხით და ერთიც ფრედ დასრულდა.

სევილიელებმა ჩემპიონატში კვირას „ალმერიას“ გასვლაზე 1:0 მოუგეს.

### IV ჯგუფი

**უდინეზე — ტოტენჰემი**

**დინამო — ნაიმეგენი**

ინგლისის ჩემპიონატის ბოლოადგილოსანი „ტოტნეჰემი“ იტალიაში ჩაბრძანდება. პრემიერლიგაში თამაშმოუგებელი კლუბის მწვრთნელ ხუანდე რამოსს წყალი შეუდგა და შესაძლოა, უეფას თასზე მარცხს გადააყოლონ.

აქამდე არცერთ ინგლისურ გუნდს უდინეში არ უთამაშია და არც „უდინეზე“ შეხვედრია როდესმე პრემიერლიგის ბინდარს.

„ტოტენჰემი“ იტალიურ კლუბს ერთხელ, 1972 წელს ამავე ტურნირზე გადაეყარა. „მილანს“ ნახევარფინალში შინ 2:1 მოუგო და „სან სიროზე“ 1:1 ითამაშა. ფინალში კი „ვულვერჰემპტონი“ დაამარცხა და უეფას თასის პირველი მფლობელი გახდა.

სერია A-ში „უდინეზე“ „ლეჩეს“ სტუმრად დაუზავდა — 2:2, „ტოტენჰემმა“ კი „სტოკთან“ გასვლაზე 1:2 წააგო.

„დინამომ“ ზაგრებში ჰოლანდიურ კლუბებს სამჯერ უმასპინძლა, ორი მატჩი ფრედ დასრულა და ერთი წააგო. „ნაიმეგენი“ კი ევროთასებზე იშვიათადაა და ხორვატულ გუნდებს არ შეხვედრია.

„დინამო“ ჩემპიონატში „შიბენიკს“ სტუმრად 2:2 ეთამაშა, „ნაიმეგენმა“ კი „ვიტესს“ 3:1 მოუგო.

### V ჯგუფი

**ჰერენვენი — მილანი**

**ბრაგა — პორტსმუთი**

უეფას თასი ერთადერთია, „მილანს“ რომ არ მოუგია და კლუბი ჯილდოების კოლექციის შევსებას ამ სეზონში ეცდება.

„ჰერენვენი“ იტალიურ კლუბს ერთხელ შეხვდა — ორი წლის წინ ამავე ტურნირში პარმაში 1:2 წააგო.

„მილანმა“ ჰოლანდიაში ცხრაჯერ ითამაშა. სამი მატჩი მოიგო, ერთხელ ფრედ დასრულა და ხუთში დამარცხდა.

„ჰერენვენი“, რომლის ფორვარდი ხერალდ სიბონი ტრავმის გამო დღეს, შესაძლოა, გუნდს დააკლდეს, შაბათს „როდას“ სტუმრად დაუზავდა — 2:2.

უეფას თასის დებიუტანტი „პორტსმუთი“ ბრაგაში ითამაშებს. ჯგუფურ ეტაპამდე პორტელებმა „გიმარაეში“ გაიარეს — შინ 2:0 მოუგეს, სტუმრად ასეთივე ანგარიშით წააგეს და დამატებით დროში იმარჯვეს. ასე რომ, „ბრაგა“ პრემიერლიგური გუნდისთვის ზედიზედ მესამე პორტუგალიელი მეტოქეა.

ბრაგელები ინგლისურ კლუბებს შვიდჯერ შეხვდნენ და ერთხელაც ვერ სძლიეს. აქედან სამჯერ შინ დამარცხდნენ.

„პორტსმუთი“ პრემიერლიგაში გასვლაზე „ასტონ ვილას“ უგოლოდ დაშორდა, ხოლო „ბრაგამ“ თასზე სტუმრად „შავეშს“ 1:0 მოუგო.

### VI ჯგუფი

**ჟილინა — ჰამბურგი**

**ასტონ ვილა — აიაქსი**

ბუნდესლიგის ლიდერი „ჰამბურგი“ სლოვაკ მეტოქესთან პირველად ითამაშებს. აქამდე „ჟილინაც“ არასოდეს შეხვედრია გერმანელებს.

იხე კი, სლოვაკურ-გერმანული საკლუბო დაპირისპირებაში სტატისტიკა ბუნდესლიგელების მხარეზეა. 21 მატჩიდან სლოვაკებმა 14 წააგეს, სამი მოიგეს და ოთხჯერ ფრე იყო.

„ჰამბურგი“ კვირას „შალკეს“ დაუზავდა — 1:1, „ჟილინამ“ კი სტუმრად „ზლატე მორავცეს“ აჯობა — 2:0.

ინგლისში „აიაქსმა“ (სადაც 1980 წლის მერე არ მოუგია) რვა სტუმრობიდან გამარჯვება მხოლოდ ერთხელ იზეიმა, ოთხი ფრედ დაასრულა და სამი წააგო. ბირმინგემის „ასტონ ვილა“ ჰოლანდიურ კლუბს პირველად შეხვდება.

ამსტერდამელებმა ჩემპიონატში „გრონინგენს“ 1:0 სძლიეს.

### VII ჯგუფი

**კოპენჰაგენი — სენტ-ეტიენი**

**რუსენბორგი — ბრიუგე**

„სენტ-ეტიენმა“ დანიის დედაქალაქში ბოლოს რომ ითამაშა, იმ სეზონში (1975-76) ჩემპიონთა თასის ფინალს უწია და „ბაიერნთან“ წააგო. მაშინ ფრანგები კოპენჰაგენის „კბ 1903“-ს შეხვდნენ და ორჯერ მოუგეს: 2:0 დანიაში და შინ — 3:1

მას შემდეგ, რაც „კოპენჰაგენი“ და „კბ-1903“ გაერთიანდნენ (1992) და ორისგან ერთი კლუბი გამოვიდა, „კოპენჰაგენმა“ ფრანგულ გუნდებს ორჯერ უმასპინძლა. ერთხელ სძლიეს და მეორედ დამარცხდნენ.

ჩემპიონატში „სენტ-ეტიენმა“ ნანტში 0:1 წააგო, მისმა დღევანდელმა მეტოქემ კი „ჰორსენსს“ სტუმრად ამავე ანგარიშით მოუგო.

10 წლის წინ „რუსენბორგი“ და „ბრიუგე“ ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევ ეტაპზე შეხვდნენ. სკანდინაველებმა ტრონჰეიმში 2:0 იმარჯვეს, ბელგიაში კი 2:4 დამარცხდნენ.

ბელგიურ კლუბებთან ოთხ საშინაო მატჩში „რუსენბორგმა“ ოთხიდან ორი მოიგო და ერთი ფრედ დაასრულა.

„ბრიუგემ“ ჩემპიონატში „სერკლს“ უმასპინძლა და 3:1 სძლია, ხოლო „რუსენბორგი“ „სტრომსგოდსეტს“ დაუზავდა — 1:1.

### VIII ჯგუფი

**ცსკა — დეპორტივო**

**ნანსი — ფეიენოორდი**

| 21:30 | 869 | ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 2.00 | 4.20 | 2.50 | 1.35 | 1.11 | 1.56 |
| 21:30 | 870 | ჰანოვერი-აუგსბურგი | 1.60 | 4.40 | 3.40 | 1.17 | 1.08 | 1.91 |
| 21:30 | 871 | კრეფელდი-დიუსელდორფი | 1.90 | 4.30 | 2.60 | 1.31 | 1.09 | 1.62 |
| 21:30 | 872 | ნიურნბერგი-იზერლონი | 1.90 | 4.30 | 2.60 | 1.31 | 1.09 | 1.62 |
| 21:30 | 873 | სტრაუბინგი-დუისბურგი | 1.70 | 4.30 | 3.10 | 1.21 | 1.09 | 1.80 |
| 21:30 | 874 | მანჰაიმი-აისბარენი | 2.10 | 4.20 | 2.40 | 1.39 | 1.12 | 1.52 |
| | | ჰოკეი. შვეიცარია | | | | | | |
| | | 24 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:45 | 883 | ციურიხი-ამბრი | 1.50 | 4.60 | 4.50 | 1.13 | 1.12 | 2.27 |
| 21:45 | 884 | ცუგი-ლუგანო | 2.55 | 4.20 | 2.10 | 1.58 | 1.15 | 1.39 |
| 21:45 | 885 | დავოსი-ფრიბურგი | 1.40 | 4.60 | 5.50 | 1.07 | 1.11 | 2.50 |
| 21:45 | 886 | სერვეტი-ბიელი | 1.45 | 4.40 | 5.00 | 1.09 | 1.12 | 2.34 |
| 21:45 | 887 | კლოტენი-ბერნი | 2.50 | 4.20 | 2.10 | 1.56 | 1.14 | 1.39 |
| 21:45 | 888 | ლანგნაუ-რაპერსვილი | 1.70 | 4.40 | 3.50 | 1.22 | 1.14 | 1.94 |
| | | 25 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:45 | 889 | ამბრი-ცუგი | 2.10 | 4.20 | 2.50 | 1.39 | 1.14 | 1.56 |
| 21:45 | 890 | ბერნი-დავოსი | 1.70 | 4.30 | 3.20 | 1.21 | 1.11 | 1.83 |
| 21:45 | 891 | ბიელი-კლოტენი | 2.30 | 4.20 | 2.20 | 1.48 | 1.12 | 1.44 |
| 21:45 | 892 | ფრიბურგი-ლანგნაუ | 1.80 | 4.30 | 2.90 | 1.26 | 1.11 | 1.73 |
| 21:45 | 893 | ლუგანო-ციურიხი | 1.90 | 4.30 | 2.80 | 1.31 | 1.13 | 1.69 |
| 21:45 | 894 | რაპერსვილი-სერვეტი | 2.40 | 4.20 | 2.10 | 1.52 | 1.12 | 1.39 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 23 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:00 | 912 | ტრაქტორი-ატლანტი | 3.60 | 4.50 | 1.50 | 2.00 | 1.05 | 1.12 |
| 19:00 | 913 | ცსკა-ვიტიაზი | 1.20 | 5.00 | 6.50 | 1.00 | 1.01 | 2.82 |
| | | კალათბურთი. იტალია | | | | | | |
| | | 25 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:00 | 939 | ფერარა-ბენეტონი | 2.30 | 12.00 | 1.60 | 1.93 | 1.00 | 1.41 |
| | | 26 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:15 | 938 | მონტეგრანარო-ბოლონია | 2.10 | 12.00 | 1.60 | 1.78 | 1.00 | 1.41 |
| 22:15 | 940 | რიეტი-სკავოლინი | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 22:15 | 941 | ბიელა-რომა | 2.90 | 12.00 | 1.40 | 2.33 | 1.00 | 1.25 |
| 16:00 | 942 | კაზერტა-მილანი | 2.30 | 12.00 | 1.60 | 1.93 | 1.00 | 1.41 |
| 22:15 | 944 | ტერამო-სიენა | 5.00 | 12.00 | 1.15 | 3.52 | 1.00 | 1.04 |
| | | 27 ოქტომბერი | | | | | | |
| 01:00 | 937 | ვ.ბოლონია-უდინე | 1.10 | 12.00 | 6.80 | 1.00 | 1.00 | 4.34 |
| 23:55 | 943 | კანტუ-აველინო | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| | | კალათბურთი. ესპანეთი | | | | | | |
| | | 25 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:00 | 947 | უნიკახა-ხუვენტუდი | 1.25 | 12.00 | 3.80 | 1.13 | 1.00 | 2.88 |
| 21:00 | 948 | გრანადა-ბილბაო | 1.65 | 12.00 | 2.25 | 1.45 | 1.00 | 1.89 |
| 21:00 | 952 | ესტუდიანტესი-გრან კანარია | 1.40 | 12.00 | 2.75 | 1.25 | 1.00 | 2.23 |
| | | 26 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:30 | 945 | მენორკა-ვალენსია | 2.30 | 12.00 | 1.60 | 1.93 | 1.00 | 1.41 |
| 23:00 | 946 | მანრესა-მურსია | 1.25 | 12.00 | 3.80 | 1.13 | 1.00 | 2.88 |
| 16:30 | 949 | ბრუესა-ტაუ | 3.30 | 12.00 | 1.30 | 2.58 | 1.00 | 1.17 |
| 16:30 | 950 | რეალი-სან ფერნანდო | 1.05 | 12.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 5.45 |
| 16:30 | 951 | ბარსელონა-სარაგოსა | 1.06 | 12.00 | 9.00 | 1.00 | 1.00 | 5.14 |
| | | კალათბურთი. ევროლიგა კაცები | | | | | | |
| | | 23 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:15 | 962 | პილსენი-პარტიზანი | 1.15 | 12.00 | 5.00 | 1.04 | 1.00 | 3.52 |
| 20:30 | 964 | ციბონა-მაკაბი | 2.20 | 12.00 | 1.55 | 1.85 | 1.00 | 1.37 |
| 22:30 | 965 | ნანსი-ბარსელონა | 3.30 | 12.00 | 1.25 | 2.58 | 1.00 | 1.13 |
| 22:00 | 968 | ალბა-რომა | 2.00 | 12.00 | 1.70 | 1.71 | 1.00 | 1.48 |
| 22:45 | 969 | ხუვენტუდი-ოლიმპია | 1.15 | 12.00 | 4.55 | 1.04 | 1.00 | 3.29 |
| 22:45 | 970 | რეალი-პანიონიოსი | 1.05 | 12.00 | 8.50 | 1.00 | 1.00 | 4.97 |
| 23:00 | 971 | აველინო-ოლიმპიაკოსი | 3.60 | 12.00 | 1.20 | 2.76 | 1.00 | 1.09 |
| | | კალათბურთი. ევროლიგა ქალები | | | | | | |
| | | 23 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 1087 | ლოტოსი-ეკატერინბურგი | 5.00 | 12.00 | 1.10 | 3.52 | 1.00 | 1.00 |
| | | ხელბურთი. კაცები. შვედეთის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 23 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 1004 | ტრელებორგი-სავეჰოფი | 5.80 | 12.00 | 1.15 | 3.91 | 1.00 | 1.04 |
| 21:00 | 1005 | ჰ 43-სკიოვდე | 1.45 | 10.00 | 3.00 | 1.26 | 1.00 | 2.30 |
| | | ხელბურთი. კაცები ავსტრიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 23 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:15 | 1011 | ინსბრუკი-ლეობენი | 1.20 | 12.00 | 5.00 | 1.09 | 1.00 | 3.52 |
| | | ხელბურთი. კაცები გერმანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 25 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 1017 | ფიუხსე-ლემგო | 2.40 | 9.00 | 1.60 | 1.89 | 1.00 | 1.35 |
| 21:00 | 1018 | შტრალსუნდი-კილი | 10.00 | 12.00 | 1.01 | 5.45 | 1.00 | 1.00 |
| 17:00 | 1019 | მაგდებურგი-ფლენსბურგი | 2.70 | 10.00 | 1.50 | 2.12 | 1.00 | 1.30 |
| 17:00 | 1020 | ეხენი-მინდენი | 1.60 | 10.00 | 2.50 | 1.37 | 1.00 | 2.00 |
| 19:00 | 1021 | ლიოვენი-გუმერსბახი | 1.35 | 10.00 | 3.50 | 1.18 | 1.00 | 2.59 |
| 21:00 | 1022 | დორმაგენი-ბალინგენი | 1.90 | 9.00 | 2.00 | 1.56 | 1.00 | 1.63 |
| 21:00 | 1023 | გროსვალშტადტი-ნორდჰორნი | 2.40 | 9.00 | 1.65 | 1.89 | 1.00 | 1.39 |
| 21:00 | 1024 | ჰამბურგი-გიოპინგენი | 1.25 | 10.00 | 4.60 | 1.11 | 1.00 | 3.15 |
| | | 26 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 1025 | ვეტცლარი-მელსუნგენი | 1.55 | 8.50 | 2.50 | 1.31 | 1.00 | 1.93 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10073 | ასტონ ვილა-აიაქსი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10074 | შალკე-პსჟ | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10076 | ჟილინა-ჰამბურგი | 4.50 | 2.00 | 2.15 | 1.38 | 1.45 | 1.03 |
| 10077 | ტვენტე-რასინგი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10078 | კოპენჰაგენი-სტ-ეტიენი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10079 | გალათასარაი-ოლიმპიაკოსი | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10080 | რუსენბორგი-ბრიუგე | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10081 | ჰერტა-ბენფიკა | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10082 | ნანსი-ფეიენოორდი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10083 | პარტიზანი-სამპდორია | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10084 | ცსკა-დეპორტივო | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10085 | სევილია-შტუტგარტი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10087 | ზაგრები-ნაიმეგენი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10088 | უდინეზე-ტოტენჰემი | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10089 | ბრაგა-პორტსმუთი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10090 | ჰერენვენი-მილანი | 4.30 | 2.00 | 2.20 | 1.36 | 1.45 | 1.04 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11073 | ასტონ ვილა-აიაქსი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11074 | შალკე-პსჟ | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11076 | ჟილინა-ჰამბურგი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11077 | ტვენტე-რასინგი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11078 | კოპენჰაგენი-სტ-ეტიენი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11079 | გალათასარაი-ოლიმპიაკოსი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11080 | რუსენბორგი-ბრიუგე | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11081 | ჰერტა-ბენფიკა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11082 | ნანსი-ფეიენოორდი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11083 | პარტიზანი-სამპდორია | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11084 | ცსკა-დეპორტივო | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11085 | სევილია-შტუტგარტი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11087 | ზაგრები-ნაიმეგენი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11088 | უდინეზე-ტოტენჰემი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11089 | ბრაგა-პორტსმუთი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11090 | ჰერენვენი-მილანი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15073 | ასტონ ვილა-აიაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15074 | შალკე-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15076 | ჟილინა-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15077 | ტვენტე-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15078 | კოპენჰაგენი-სტ-ეტიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15079 | გალათასარაი-ოლიმპიაკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15080 | რუსენბორგი-ბრიუგე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15081 | ჰერტა-ბენფიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15082 | ნანსი-ფეიენოორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15083 | პარტიზანი-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15084 | ცსკა-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15085 | სევილია-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15087 | ზაგრები-ნაიმეგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15088 | უდინეზე-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15089 | ბრაგა-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15090 | ჰერენვენი-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16073 | ასტონ ვილა-აიაქსი | 1.32 | 3.00 |
| 16074 | შალკე-პსჟ | 1.32 | 3.00 |
| 16076 | ჟილინა-ჰამბურგი | 2.90 | 1.32 |
| 16077 | ტვენტე-რასინგი | 1.58 | 2.10 |
| 16078 | კოპენჰაგენი-სტ-ეტიენი | 1.55 | 2.20 |
| 16079 | გალათასარაი-ოლიმპიაკოსი | 1.38 | 2.65 |
| 16080 | რუსენბორგი-ბრიუგე | 1.45 | 2.45 |
| 16081 | ჰერტა-ბენფიკა | 1.55 | 2.20 |
| 16082 | ნანსი-ფეიენოორდი | 1.40 | 2.55 |
| 16083 | პარტიზანი-სამპდორია | 1.80 | 1.85 |
| 16084 | ცსკა-დეპორტივო | 1.55 | 2.20 |
| 16085 | სევილია-შტუტგარტი | 1.17 | 4.10 |
| 16087 | ზაგრები-ნაიმეგენი | 1.34 | 2.80 |
| 16088 | უდინეზე-ტოტენჰემი | 1.38 | 2.65 |
| 16089 | ბრაგა-პორტსმუთი | 1.82 | 1.82 |
| 16090 | ჰერენვენი-მილანი | 2.90 | 1.32 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14073 | ასტონ ვილა-აიაქსი | 1.65 | 2.30 |
| 14074 | შალკე-პსჟ | 1.65 | 2.30 |
| 14076 | ჟილინა-ჰამბურგი | 2.40 | 1.45 |
| 14077 | ტვენტე-რასინგი | 1.80 | 2.00 |
| 14078 | კოპენჰაგენი-სტ-ეტიენი | 1.80 | 2.00 |
| 14079 | გალათასარაი-ოლიმპიაკოსი | 1.70 | 2.20 |
| 14080 | რუსენბორგი-ბრიუგე | 1.75 | 2.10 |
| 14081 | ჰერტა-ბენფიკა | 1.80 | 2.00 |
| 14082 | ნანსი-ფეიენოორდი | 1.70 | 2.20 |
| 14083 | პარტიზანი-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 14084 | ცსკა-დეპორტივო | 1.80 | 2.00 |
| 14085 | სევილია-შტუტგარტი | 1.30 | 2.50 |
| 14087 | ზაგრები-ნაიმეგენი | 1.70 | 2.20 |
| 14088 | უდინეზე-ტოტენჰემი | 1.70 | 2.20 |
| 14089 | ბრაგა-პორტსმუთი | 1.95 | 1.85 |
| 14090 | ჰერენვენი-მილანი | 2.30 | 1.65 |

რაგბი

კვარციტი QUARTZITE

# მელელოვე მაჩხანელის ჯერ ულელოო აჟენი

თუ რამე არ შეიცვალა და გაუთვალისწინებელი არ მოხდა, საქართველოს ნაკრები ახალ სეზონს 14 ნოემბერს, სტუმრად შოტლანდიის A ნაკრებთან ტესტ-მატჩით დაიწყებს. წესით, ეს ტესტი თბილისში უნდა გამართულიყო, რაც ჯერ კიდევ ივლისში შეთანხმდა, თუმც აგვისტოს მოვლენების შემდეგ შოტლანდიელებმა აზრი შეიცვალეს და ჩვენებს მასპინძლობა გაუცვალეს. წინააღმდეგი არც საქართველოს რაგბის კავშირი ყოფილა, რადგან ასეთ სერიოზულ მეტოქესთან თამაშის ჩაშლას სტუმრად თამაში ამჯობინეს. ახლა ისღაა საკითხავი, როგორ ფორმაში იქნება ამ დროისთვის საქართველოს ნაკრები, რომელსაც ივნისის აქეთ არ უთამაშია. თანაც 14 ნოემბერი რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) სანაკრებო კალენდარს არ ემთხვევა. ამიტომაც დიდი შანსია, ჩვენების ავსტრალიელ მწვრთნელ ტიმ ლეინს ტრადიციული პრობლემა შეექმნას — კლუბებიდან ლეგიონერების სანაკრებოდ გათავისუფლებას ვგულისხმობთ, რადგან ფრანგული კლუბები ყოველთვის ჯიუტობენ და ჩვენს ლეგიონერებს უხალისოდ უშვებენ ნაკრებში. ჩვენი ეროვნული გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, 27 წლის ირაკლი მაჩხანელი, რომელსაც ბორჯღალოსნებში 27 მატჩი უთამაშია და 10 ლელო გაუტანია, ახლა ფრანგული „აჟენისთვის“ რაგბობს. ირაკლი მაჩხანელს საფრანგეთში დავუკავშირდით...



— „აჟენმა“ სეზონი არასტაბილურად დაიწყო. 6 ტური მიილია, ჩვენ კი 3 მოგება და 3 წაგება გვაქვს. ახლა ცხრილის შუაგულში ვართ, თუმც ლიდერებს არცთუ დიდი სხვაობით ჩამოვრჩებით. სხვათა შორის, ჩვენს დივიზიონს, ანუ „ელიტა 2“-ს პარიზული „მეტრო-რასინგი“ ლიდერობს, სადაც ჩვენიანი გიორგი ჩხაიძე თამაშობს. ჩხაიძე რასინგელთა ერთ-ერთი ლიდერია.

— **„აჟენის“ არასტაბილურობა რისი ბრალია?**

— არ ვიცი, თითქოს ყველაფერი კარგად გამოგვდის გუნდშიც ერთსულოვნებაა, მაგრამ მოსაგებ თამაშებს ვერ ვიგებთ. ჩემი აზრით, მიზეზი მაინც მწვრთნელებშია. სეზონისთვის საქართველოს ნაკრების ყოფილი კონსულტატი ანრი ბრონკარი გვამზადებდა. თუმც მას მთავარი მწვრთნელობა არ აცალეს და სამუშაოდ ბავშვთა გუნდში გადაიყვანეს. რას ერჩოდნენ, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ მისმა გაშვებამ გუნდზე ცუდად იმოქმედა. ახლა გუნდს კრისტოფ დეკო და კრისტიან ლანტა თავკაცობენ.

— **სეზონი არცთუ დამაჯერებლად დაიწყეთ და ელიტარული ლიგაში აღზევებას შეძლებთ?**

— შეუძლებელი არაფერია, არც საგანგაშო ვითარებაა გუნდში. წინ 25 მატჩია და დაკარგული ჯერ არაფერია.

— **ძირითად შემადგენლობაში ჩაჯექი?**

— ეს უფრო პირობითი ცნებაა, რადგან მწვრთნელი სისტემატიურად მიმართავს როტაციას. ჩემს ადგილას, ანუ გარემარბად, ექვსი მორაგბეა და ერთმანეთს ხშირად ვენაცვლებით. სათამაშო პრაქტიკა ნაღდად არ მაკლია.

— **სეზონის წინ თქვი, რომ შეძლებოდა, შუამარბადაც გეთამაშა...**

— სეზონისწინა მატჩებში ამ პოზიციაზეც ვთამაშობდი. სადაც გუნდს ვჭირდები, მეც იქ ვარ.

— **ლელოს თუ გაიტანე?**

— ჯერ ვერა. არადა, რამდენიმე შესაძლებლობა მქონდა.

— **„აჟენში“ საქართველოს ნაკრების მორკინალი ანტონ ფეიქრიშვილიც თამაშობს. მისი საქმე როგორ არის?**

— სეზონის წინ ფეიქრიშვილს ძირითადი შემადგენლობისთვის ამზადებდნენ, მაგრამ ანტონმა ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და ახლაღა შედის ფორმაში. თუმცა ფეიქრიშვილმა რამდენიმე მატჩის თამაში უკვე მოასწრო და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

— **სეზონს შოტლანდიის A ნაკრებთან თამაშით იწყებს...**

— საკმაოდ რთული მატჩი იქნება. შოტლანდიას ძალისმიერი მძიმე შერკინებით თამაში კარგად გამოსდის და მაღალი დონის უკანახაზელებიც ჰყავთ. ყოველ შემთხვევაში, მოგება შეგვიძლია, რაც ჩვენს ნაკრებს ავტორიტეტს შემატებს და მეტად დაგვაფასებენ.

**ბაჩო სვანიძე**

### ჩოგბურთი

# ქართული შანსი წყვილია



ეკა გორგოძე

**თუ** არ ჩავთვლით 18 წლის ოქსანა კალაშნიკოვას, რომელიც ამ მომენტისთვის მე-4 ქართველი ჩოგანი ქალია, დანარჩენებს ერთეულებში თამაში ძალიან უჭირთ, წყვილებში კი ფავორიტს ფავორიტზე ჩეხავენ. როგორც ჩანს, ქართველს თუ უცხოელი მეწყვილე ჰყავს, თამაშიც გამოსდის და რეიტინგშიც წინ მიიწევს.

ჩვენი ჩოგბურთელების თამაშზე თხრობა მე-2 ჩოგნით, მაკა ჩახნაშვილით დავიწყოთ, რომელიც ახლა მსოფლიო რეიტინგში 222-ე ადგილზეა.

ჩახნაშვილი ფრანგულ პუატიეში 100-ათასიან ტურნირზე იქნევს ჩოგანს, თუმც ერთეულებში რომ საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დაძლია, ეს გუშინაც დავწერეთ. საკვალიფიკაციო ეტაპზე მაკამ ერთი მატჩი კი მოიგო, მაგრამ ძირითად ბადეში მოსახვედრი მატჩი 4:6 1:6 წააგო უკრაინელ ოქსანა ლუბცოვასთან.

ამის შემდეგ მაკამ წყვილებში გადაინაცვლა და უკრაინელ ბეიგელციმერს შეაშველა ჩოგანი. ქართულ-უკრაინულ წყვილს პირველ წრეში სულ რაღაც 40 წუთში რუსი კონირაცევას და ფრანგი ლეფევრის დუეტი 6:0 6:0 შემოეჩოგნათ. მეოთხედფინალში ჩახნაშვილის და ბეიგელციმერის მეტოქეები ტურნირის მე-4 ნომრები, ჩეხები კეტკოვსკა და საფასოვა იქნებიან.

საფრანგეთიდან ესპანეთში გადავინაცვლოთ, სადაც სან კუმატში 10 000-დოლარიანი ტურნირი დაიწყო და იქ ორი ქართველი, ეკა გიორგაძე და სოფო ქვაცაბაია თამაშობს. უფრო ზუსტად, ჯერჯერობით მხოლოდ გორგოძე თამაშობს, რადგან ქვაცაბაიას თავისი მატჩის ჯერ არ ჩაუტარებია.

ეკა გორგოძემ კი, რომელიც განახლებულ რეიტინგში ერთბაშად 69 საფეხურით დაწინაურდა და ახლა მსოფლიო რეიტინგში 705-ე ჩოგანია, პირველ წრეში ბრიტანელი ემილია ბანოსო-გრეგორია დაამარცხა. გორგოძეს სამერვედფინალო მეტოქე, ტურნირის მე-7 ნომერი რუმინელი იანა ენაჩე იქნება. ჩვენიანი კი განუთესავია.

რაც შეეხება სოფო ქვაცაბაიას, მისი პირველი მეტოქე, მე-6 ნომრად განთესილი იტალიელი ფედერიკა კუერსიაა.

**ბაჩო სვანიძე**

# ლადო ჩიხლაძე რუსის ბედისწერაა

**მაკა ჩახნაშვილისა** არ იყოს, კორტზე იღბლიანად დაბრუნებული ლადო ჩიხლაძეც წყვილებში თამაშის სპეციალისტად ყალიბდება. ერთი კვირის წინ იყო, ჩიხლაძემ და მაროკოელმა ჩაკიმ ლა რობელის 15-ათასიანი ტურნირი რომ მოიგეს.

ამის შემდეგ ჩიხლაძემ და ჩაკიმ კვლავ ერთად გადაწყვიტეს თამაში და საფრანგეთშივე, როდეზში დაწყებულ 10-ათასიან ტურნირზე წყვილებში პირველივე მატჩი მოიგეს.

ჩიხლაძის და ჩაკის დუეტმა ტურნირის პირველივე წრეში პირველი ნომრები, ბელგიელი მასონი და რუსი ნესტეროვი 6:3 6:4 დაჩოგნეს. სხვათა შორის, ნესტეროვი წინა, ლა რობელის ტურნირზე ესპანელ ალკაიდესთან ერთად თამაშობდა და იქაც ჩიხლაძე-ჩაკის წყვილთან წააგო. ერთი სიტყვით, ერთ კვირაში ჩვენიანმა და მაროკოელმა ორჯერ გაამწარეს რუსი ნესტეროვი.



დღეს ჩიხლაძე და ჩაკი, როდების ტურნირის მეოთხედფინალში კიდევ ერთ განთესილ დუეტს, მე-3 ნომრებს, ფრანგებს ინსაერტი-პენუს ეთამაშებიან.

ამერიკაში, კონკრეტულად კი ტეხასის შტატის ქალაქ მანსფილდში დაწყებულ ტურნირზე ქართველი ნიკოლოზ ბასილაშვილი ითამაშებს. თუ რეიტინგით ვიმსჯელებთ, ბასილაშვილი საქართველოს მე-5 კაცი ჩოგანია, ხოლო მსოფლიო რეიტინგში ამ დროისთვის 1315-ეა.

მანსფილდის ტურნირზე კი ქართველის პირველი მეტოქე მასპინძელთა ერთ-ერთი ჯილა, ტურნირზე მე-5 ნომერი ნიკოლას მონრო იქნება.

**ბაჩო სვანიძე**

### ძიუდო

# მეხუთედ ხაბულიანი



**ძიუდოს** ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა გუშინ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტში გაიმართა.

პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატურა მხოლოდ დილარ ხაბულიანმა წარადგინა. როგორც ჩანს, სხვას არავის სურდა სპორტს ამ სახეობის ხელმძღვანელობაში მოსვლა.

შესაბამისად, გუშინ გამართულ არჩევნებზე დილარ ხაბულიანი ზედიზედ მეხუთე ვადით აირჩიეს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტად.

ყრილობამ აირჩია ასევე ძიუდოს ფედერაციის სხვა ხელმძღვანელებიც: პირველი ვიცე-პრეზიდენტს პოსტი დავით ბერძენიშვილმა დაიკავა, ვიცე-პრეზიდენტები გახდნენ: შოთა ჩოჩიშვილი, შენგელი ფიცხელაური და თემურ ხუბულური. გენერალური მდივანი ისევ ანზორ მარტყოფიშვილია, აღმასრულებელი მდივნის თანამდებობაზე კი ნაკრების მთავარი მწვრთნელის შოთა ხაბარელის ვაჟი მამუკა ხაბარელი იმუშავებს.

### კალათბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა




# როკერებს 15 არ ეყოთ

**როკი 75:60 ბასკეტ სვონსი**

ფიბას ევროთასზე საპასუხო შეხვედრებიც ჩატარდა და გაირკვა იმ გუნდების ვინაობა, რომლებმაც მეორე საკვალიფიკაციო რაუნდში გააღწიეს.

ამ კლუბებს შორის ვერ მოხვდა ესტონეთის ჩემპიონი ტარტუს „როკი". არადა, შარშან ამ გუნდმა ტურნირის ოთხთა ფინალში ითამაშა, ქართველი გიორგი ცინცაძე კი ფიბას ევროთასის „ყველა ვარსკვლავის" შეხვედრის მონაწილე გახდა.

წელს ასეთი რამ აღარ მოხდება, რადგან ესტონელებმა პირველი შეხვედრის 86:64 წაგების მერე, მეორე მატჩში მხოლოდ 15 ქულა მოიგეს, ეს კი საბოლოო გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

არადა, ამასთან ესტონელები საკმაოდ ახლო იყვნენ და მხოლოდ იმიტომ წააგეს, რომ მესამე და მეოთხე მეოთხედები წააგეს.

გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის „როკს" 23 ქულით მოგება სჭირდებოდა, მათ მატჩის მსვლელობისას რამდენჯერმე ამაზე გაცილებით მეტით დაწინაურებაც კი მოახერხეს, მაგრამ საბოლოოდ დიდი უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს.

მეორე მეოთხედის შემდეგ გიორგი ცინცაძისა და მისი გუნდელების კარგი თამაშის შედეგად „როკი" 48:25 იგებდა, დაიწყო მესამე ათწუთეული და ერთ მომენტში ანგარიში 60:33 გახდა. ამის შემდეგ კი ესტონელები თითქოს გამორთეს, ავსტრიელებმა, პირიქით, აიწყვიტეს და ბოლო პერიოდის წინ ანგარიში 62:42 იყო „როკერების" სასარგებლოდ.

მეოთხე მეოთხედში ავსტრიის მოქალაქემ, ისე კი ამერიკული წარმოშობის 34 წლის დეტერი მაიესმა თავისი გუნდის მიერ ჩაგდებული 18 ქულიდან 14 საკუთარ აქტივში ჩაიწერა, „სვონსს" პერიოდი მოაგებინა და, შესაბამისად, ორი მატჩის ჯამში გამარჯვებაც გაიფორმა.

მაიესის თამაშსა და ფასს ხაზს უსვამს გუნდის მთავარი მწვრთნელი ბობ გონენი: „იმიტომ მოვიგეთ, რომ შემადგენლობაში გვყავს ავსტრიის კალათბურთის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშე".

ფიბას ოფიციალურ ვებგვერდზე გიორგი ცინცაძის კომენტარიც იყო: „ჩვენმა მეტოქემ ბოლო მეოთხედში საოცარი ბურთები ჩაგვიგდო, ჩვენ კი, სამწუხაროდ, არ გვეყო ძალა თამაში ისეთი ანგარიშით მოგვეგო, საერთო ჯამშიც რომ გვემარჯვა და შემდეგ ეტაპზე გავსულიყავით. ეს ძალიან საწყენია, შარშან ამ ტურნირის ოთხთა ფინალში ვიყავით, ახლა კი პირველი საკვალიფიკაციო რაუნდიდან გამოვვარდით."

**გიორგი ცინცაძე:** *33 წუთი, 13 ქულა, 2 მოხსნა, 7 პასი, 2 ჩაჭრა, 3 დაკარგვა, 4 პერსონალური შენიშვნა, 5-დან 1 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი, 10-დან 8 საჯარიმო.*

**ვიქტორ სანიკიძე:** *13 წუთი, 5 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, 3 პერსონალური შენიშვნა, 2-დან 0 ორქულიანი, 1-დან 1 სამქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო.*

**გიორგი არაგული**

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია აცხადებს მიღებას
მსაჯთა მომზადების კურსებზე. მსურველებს გთხოვთ
დაგვიკავშირდეთ მისამართზე: ჭავჭავაძის გამზირი 49ა.
ტელეფონი: 91 33 54

# კობიც დაიმტვრა



დაშავებული, მაგრამ რატომღაც მაინც მხიარული კობი ბრაიანტი

**ოლიმპიური** ჩემპიონები ერთმანეთის მიყოლებით იმტრევიან. ჯერ იყო და, საგამოფენო მატჩში „იუტას“ დაუშავდა სუპერგამთამაშებელი დერონ უილიამსი, გუშინწინ კი „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ გადაიტანა ელდა — „შარლოტ ბობქეთსთან“ შეხვედრის მეორე მეოთხედში მარჯვენა მუხლი იტკინა გუნდის ლიდერმა და გასული სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ კობი ბრაიანტმა.

ხვალ გავიგებთ, რამდენად სერიოზულია კობის ტრავმა და კარსმომდგარი რეგულარული ჩემპიონატის დებიუტი ჩაუმწარდება თუ არა ვიცე-ჩემპიონ გუნდს, მანამდე კი ბრაიანტისიანები თითებს აჯვარედინებენ და დაძაბულები უცდიან ექიმთა განაჩენს.

„კობისთვის არც კი მიკითხავს რამე ამ ტრავმის თაობაზე — მოღუშული ამბობს „ლეიკერსის“ თავკაცი ფილ ჯექსონი — დიდი იმედიმაქვს, ყველაფერი იოლად ჩაივლის.“

ის თამაში კი „ლეიკერსმა“ მაინც მოუგო (102:98) „შარლოტს“, რომელიც ახალი თავკაცის, ლარი ბრაუნის ყოლის მიუხედავადაც ვერ გამოიყურება ყოჩაღად სეწონისწინა შესამოწმებელ თამაშებში.

სამაგიეროდ რიგიან შთაბეჭდილებას ტოვებს კიდევ ერთი ოლიმპიელი, ნიუორლეანელი კრის პოლი, რომელმაც ევროპაში, კერძოდ ბერლინსა და ბარსელონაში ორი თამაშის ჩატარების შემდეგ შინ დაბრუნებულ თავის გუნდს ამ ჯერზე „ინდიანა“ დაამარცხებინა — 101:96. პოლმა ამ საკმაოდ დაძაბულ შეხვედრაში 23 ქულა, 15 პასი, 5 მოხსნა და 3 ჩაჭრა გააკეთა და ამ ყოველივეს ზედაც ერთი დაფარებაც დააყოლა, თუმცაღა სიმაღლეში მხოლოდ 183 სანტიმეტრია და ამ კომპონენტში გამორჩევა არ „ეკუთვნის“.

„არც კი ვიცი, როგორ შევაფასო მისი თამაში — კეფას იქექავს „ნიუ ორლეანის“ მწვრთნელი ბაირონ სკოტი — ის ისეთი ფორმაშია და ისე თამაშობს, თითქოს შუა რეგულარულში ანაც, სულაც პლეი ოფში იყოს. ძალზე მებრძოლია და მოტივაციის ნაკლებობა არასდროს ყოფილა მისი პრობლემა.“

საგამოფენო სერიაში ჯერაც დაუმარცხებელი „კრაზანებისთვის“ ეს მოგება ზედიზედ მეხუთე იყო. პოლის გარდა გამოირჩა ოლსტარელი დევიდ ვესტიც, რომელმაც „ინდიანას“ 17 სროლიდან 12 ჩაუგდო და 26 ქულა დააგროვა.

საგამოფენო მატჩებს მოგებით დაუსვა წერტილი ჩემპიონმა „ბოსტონ სელტიქსმა“, ვინაც რვა მატჩში მეექვსე გამარჯვება „ნიუ იორკ ნიქსს“ წაგლიჯა. მის ლიდერებს თავი დიდად არ გამოუდვიათ, სამაგიეროდ სათადარიგოებმა ედი ჰაუსმა (20 ქულა) და ლეონ პოუიმ (19 ქულა, 12 მოხსნა) აიკლეს „ნიუ იორკის“ დაცვა. „ბოსტონი“ პირველი ტაიმის შემდეგ 24 ქულით იგებდა, საბოლოოდ კი 101:90 იძალა.

აქვე ვთქვათ, რომ „კელტების“ ხელმძღვანელებმა გუნდიდან დაითხოვეს 27 წლის ფორვარდი დარიუს მაილზი, რომელსაც ორი წელი არ უთამაშია ტრავმის გამო და ახლა აპირებდა დიდ კალათბურთში დაბრუნებას, მაგრამ ჩემპიონ გუნდში მისი ადგილი ჯერ ვითომ გამოინახა, მერე კი მაინც დაითხოვეს.

ხუთ თამაშში პირველი გამარჯვება მოიპოვა 2006 წლის ჩემპიონმა, ბოლო სეზონში კი მთლად ფსკერზე დაშვებულმა „მაიამიმ“, რომელმაც უხეირო „მემფისთან“ გატეხა ნავსი — 102:85. გამარჯვებულთა შორის 25 ქულით საუკეთესო იყო ოლიმპიური ჩემპიონი დუეინ ვეიდი, ვისაც მხარი კარგად აუბა მოზვერა ახალბედა მაიკლ ბისლიმ (19 ქულა). ინერტულად გამოიყურებოდა შონ მერიონი, ვინაც გასულ სეზონში ამ გუნდში შაკილ ონილის ნაცვლად მივიდა, მაგრამ დიდი შანსია, სეზონის მსვლელობისასვე დატოვოს „მაიამი“ — გაცვლას უპირებენ.

ექვს თამაშში მეოთხედ დამარცხებულ „მემფისში“ კი ყურადღება მიიპყრო 28 ქულისა და 5-5 მოხსნა-პასის მომბოჭავმა ოჯეი მაიომ, რომელიც „დათვებმა“ წლევანდელ დრაფტზე მესამე ნომრად აიყვანეს და მისით უკმაყოფილების საბაბი ჯერ ნამდვილად არ გასჩენიათ.

კიდევ უფრო ხვავიანად გაისარჯა მეორე ახალბედა, დრაფტის პირველი ნომერი დერიკ როუზი, ვინაც „დალასთან“ შეხლაში თავისი „ჩიკაგო“ 30 ქულითა და 7 პასით ასარგებლა. ეს ყოველივე ძალზე გამოადგათ „ხარებს“, რომლებიც ბოლო მეოთხედის წინ 17 ქულას აგებდნენ, მაგრამ გამოუცდელი გამთამაშებლის წყალობით დასკვნით 12-წუთეული 37:16 იძალეს და საბოლოოდ 109:105 მოიგეს. დალასელ დირკ ნოვიცკის კი 26 ქულა გაუხუნდა.

**ირაკლი ფირაშვილი**



# დერონი ორი კვირით

**შაბათს** „ჩიკაგოსთან“ საგამოფენო მატჩის მსვლელობისას დაშავებული დერონ უილიამსი ორ კვირას ვერ ითამაშებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „იუტა ჯაზს“ თავის ლიდერის გარეშე ასე 3-5 მატჩის ჩაატარება მოუხდება.

წინა სეზონში საშუალოდ 19 ქულისა და 10,5 პასის მკეთებელმა და ამის წყალობით ოლიმპიურ ნაკრებში მიწვეულმა უილიამსმა კოჭის ისეთი ტრავმა მიიღო, რომ დამოუკიდებლად მოედნის დატოვება ვერ შეძლო. როგორც გამოკვლევამ აჩვენა, მას არ დაუზიანებია ძვალი და მყესიც არ გაუწყვეტია, მაგრამ მაგრად კი გაიჭიმა და გარკვეული დრო დასჭირდება მოედანზე დასაბრუნებლად.

„იუტას“ ცხადია გაუჭირდება ლიდერის გარეშე. 24 წლის უილიამსი სადღეისოდ ნბა-ში ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებლად ითვლება, გუნდის სული და გულია და „ჯაზმენებს“ ნამდვილად არ ჰყავთ მისი სრულფასოვანი შემცვლელი.

თუმც პოტენციური მეორე გამთამაშებელი, აწ კი ხუთეულისთვის გამზადებული რონი პრაისი ამ ამბავს ტრაგედიად არ აღიქვამს — მერე რა მოხდა, ჩვენ აქ არა ვართო? ცხადია თავის პოზიციაზე მირითადი კაცის არყოფნა მისი შანსია. ეს თავდაჯერებული ჯეელი დასავლეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის შეტევას ვეტერან გამთამაშებელ ბრევინ ნაითთან ერთად გაუძღვება. ხოლო თუ ვერცერთი ვერ გაამართლებს, „ჯაზის“ თავკაცი ჯერი სლოუნი ბურთის გათამაშებას ალბათ ამპლუით მსროლელ რონი ბრიუერს მიანდობს.



# რუსულ დოპინგ-შვიდეულს ორ-ორი წელი შეუფარდეს



ელენა სობოლევა



ტატიანა ტომაშოვა

**ოლიმპიადის** წინ რუს მძლეოსან ქალთა გარშემო ატეხილ ხმაურიან დოპინგ-სკანდალს ლოგიკური და სამართლიანი გაგრძელება მოჰყვა. იააფ-ის ანუ მძლეოსნობის ფედერაციათა მსოფლიო ასოციაციის მოთხოვნით რუსეთის მძლეოსნობის ფედერაციამ ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა შვიდი რუსი ქალი — ელენა სობოლევა, ტატიანა ტომაშოვა, სვეტლანა ჩერკასოვა, იულია ფომენკო, ოლგა ეგოროვა, გულფია ხანაფეევა და დარია პიშჩალნიკოვა.

ამ გოგონებს კარგად იცნობენ მსოფლიოს სამძლეოსნო წრეებში. ტომაშოვა ორგზის მსოფლიოს ჩემპიონია 1500 მეტრზე სირბილში, უფრო ახალგაზრდა სობოლევა კი ამავე დისტანციაზე წლეულს ითვლებოდა უძლიერესად და პეკინის ოლიმპიადაზე გარანტირებითაც უწინასწარმეტყველებდნენ ჩემპიონობას. ხანაფეევა მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენია უროს ტყორცნაში და სხვებიც საკმაოდ ცნობილები არიან.

ეს შვიდეული დოპინგის ხმარებაში ზედ პეკინის ოლიმპიადის დაწყების წინ ამხილეს და რუსებიც იძულებულები იყვნენ, ოლიმპიური გუნდიდან მოეკვეთათ. დასჯილებმა მაშინ ლამის ისტერიკა ატეხეს — სობოლევა იფიცებოდა, სუფთა სისხლი გვაქვს და იააფ-ი არასპორტული მიზეზების გამო გვსჯის, რადგან იცის, რომ რამდენიმე ოქროს დააკარგვინებს რუსეთის დელეგაციასო... რატომ ვერ გვიცავს მსგავსი უმსგავსოებისგან ისეთი „დერჟავა“, როგორიც რუსეთიაო... მოკლედ ატყდა ერთი ვაიუშველებელი.

მაგრამ ახლა როგორც ირკვევა, არაკეთილსინდისიერ რუს სპორტსმენებს სავსებით სამართლიანად მიუხურეს პეკინის კარიბჭე. 2007 წლის აპრილში აღებული სისხლის ანალიზებში მკაფიოდ გამოიკვეთა სობოლევასა და მისი დაქალების ბრალეულობები და რუსეთის მძლეოსნობის ფედერაციას ისღა დარჩენოდა, თავადვე დაესაჯა მატყუარა სპორტსმენები.

„შვიდივე მძლეოსანს დაუმტკიცდა დოპინგის მიღება და ისინი 2 წლით ჩამოშორდებიან ოფიციალურ სარბიელს“ — ამბობს ფედერაციის პრეზიდენტი ვალენტინ ბალახნიჩევი.

ორწლიანი ვადა აითვლება 2007 წლის აპრილიდან.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. III ტური. წუხლ

## A ჯგუფი

### ბორდო 1:0 კლუჟი

1:0 კადუ (54ს.კ.)
ბორდო: რამე; დიარა, ფერნანდუ, ობერტანი (ბუფრანი 61), პლანიუ, ჟურიეტი, დიავარა, შალმე, გურკუფი, ბელიონი (ვენდელი 61), შამახი
მწვრთნელი: ლორან ბლანი
კლუჟი: სტენჩოიუ, ტონი, კადუ, დე სოუზა, მურეშანი, დუბარბიე (დიდი 75), პერალტა, პერეირა, უსუფ კონე (ემანუელ კონე 86), ტრიკე, კულიო
მწვრთნელი: მაურიციო ტრომბეტა
გაფრთხილება: რამე, შალმე, შამახი, პერალტა, კადუ, კულიო, ტრიკე, მურეშანი, ტრიკე
გაძევება: ტრიკე (90)
მსაჯი: ივან ბებეკი (ხორვატია)
24 000 მაყურებელი

### ჩელსი 1:0 რომა

1:0 ტერი (77)
ჩელსი: ჩეხი, კარვალიუ, ბოსინგვა, ბრიჯი, ტერი, ლამპარდი, მიკელი, მალუდა (ბელეტი 46), დეკუ, კალუ (დი სანტო 77), ანელკა (ფერეირა 90)
მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი
რომა: დონი, პანუჩი, სისინიუ, მექსესი, რიისე (ტონეტო 82), აკვილანი (პეროტა 61), ტადეი (მენეზი 81), დე როსი, ბრიგი, ვუჩინიჩი, ტონი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: მალუდა, მექსესი, ტერი, პანუჩი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
41 002 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| კლუჟი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| რომა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ბორდო | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |

## B ჯგუფი

### ინტერი 1:0 ანორთოსისი

1:0 ადრიანო (44)
ინტერი: ტოლდო, კორდობა, ძანეტი, მაიკონი, კივუ, სტანკოვიჩი, კამბიასო (ბურდისო 83), მუნტარი, მანჩინი (კვარეშმა 63), იბრაჰიმოვიჩი, ადრიანო (კრუსი 83)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
ანორთოსისი: ბექაი, კაცავაკისი, ლეივაკაბესი, ოჩოკოლიჩი, კონსტანტინუ, ბარდონი (წიტაიშვილი 75), დელასი, დობრაშინოვიჩი (ფრუსოსი 89), სოსინი (თაპერი 46), ლაბანი, სავიო
მწვრთნელი: თემურ ქეცბაია
გაფრთხილება: კაცავაკისი
მსაჯი: ჰოვარდ ვები (ინგლისი)
32 000 მაყურებელი

### პანათინაიკოსი 2:2 ვერდერი

0:1 მერტეზაკერი (29), 1:1, 2:1 მანსიოსი (36, 68), 2:2 ალმეიდა (83)
პანათინაიკოსი: ცორვასი, სარიეგი, ვინტრა, მანციოსი (რუკავინა 82), ნილსონი, ჟილბერტუ, გაბრიელი, სიმაუ, სპიროპულოსი (ივანშიცი 46), კარაგუნისი (კლეიტონი 71), სალპინგიდისი
მწვრთნელი: ჰენკ ტენ კატე
ვერდერი: ფანდერი, პასანენი (ბოონიში 80), ნალდო, პრიოდლი, მერტეზაკერი, ბაუმანი, დიეგო, იოზილი, თრინგსი, ალმეიდა (სანოგო 90), პისარო (როსენბერგი 27)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: კარაგუნისი, სპიროპულოსი, დიეგო, პრიოდნი, სარიეგი, სიმაუ, ივანშიცი
მსაჯი: მაიკლ რაილი (ინგლისი)
60 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ანორთოსისი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| ვერდერი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| პანათინაიკოსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |

## C ჯგუფი

### შახტარი 0:1 სპორტინგი

1:0 ლიედსონი (76)
შახტარი: პიატოვი, ჰიუბშმანი (გაი 83), დულიაი, კუჩერი, რაცი, ფერნანდინიუ, ჟადსონი (ვილიანი 72), ჩიგრინსკი, სრნა, მორენო (გლადკი 72), ბრანდაუ
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
სპორტინგი: რუი პატრისიუ, პოლგა, ტონელი, აბელი, იზმაილოვი (გრინი 74), ველოზუ, როშემბაკი, მოუტინიუ, რომანიოლი (პერეირინია 68), ლიედსონი, დერლეი (პოშტიგა 88)
მწვრთნელი: პაულუ ბენტუ
გაფრთხილება: სრნა, რუი პატრისიუ
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
23 000 მაყურებელი

### ბაზელი 0:5 ბარსელონა

0:1 მესი (4), 0:2 ბუსკეტსი (15), 0:3, 0:4 კრკიჩი (22, 46), 0:5 ხავი (48)
ბაზელი: კოსტანცო, ჰუგელი, რუბიო (შტოკერი 46), აბრაამი, საფარი, მარკო, ერგიჩი, ცანი, ჩიპერფილდი (გიასულა 55), დერდიოქი, შტრელერი (ედუარდო 71)
მწვრთნელი: კრისტიან გროსი
ბარსელონა: ვალდესი, მარკესი (კასერესი 53), პუიოლი, სილვინიუ, ალვეში, ხავი (ანრი 57), გლები, ტურე (ვიქტორ სანჩესი 67), ბუსკეტსი, მესი, კრკიჩი
მწვრთნელი: ხოსეპ გვარდიოლა
გაფრთხილება: რუბიო, აბრაამი
მსაჯი: ერიკ ბრამჰარი (ჰოლანდია)
37 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 9 |
| სპორტინგი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| შახტარი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| ბაზელი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | 0 |

## D ჯგუფი

### ატლეტიკო 1:1 ლივერპული

0:1 კინი (14), 1:1 სიმაუ (83)
ატლეტიკო: ფრანკო, სეიტარიდისი, ანტონიო ლოპესი, პერეა, კამაჩო (რაულ გარსია 72), მანიშე, სიმაუ, ალვარო, ლუის გარსია (აგერო 46), ფორლანი, სინამა-პონგოლი (მიგელი 75)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
ლივერპული: რეინა, დოსენა, აგერი, არბელოა, კარაგერი, ჯერარდი (ბაბელი 61), რიერა, ხაბი ალონსო (ლუკაში 75), მასკერანო, ბენაიუნი, კინი (კუიტი 53)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: მანიშე, რიერა, არბელოა
მსაჯი: კლაუს ბო ლარსენი (დანია)
44 500 მაყურებელი

### პსვ 2:0 მარსელი

1:0, 2:0 კუვერმანსი (71, 85)
პსვ: ისაკსონი, სალსიდო, როდრიგესი, ბრეშე, მარსელისი, სიმონსი, მენდესი, აფელაი (ადო 89), ბაკალი (კულინა 76), ვუიტენსი (ძუძაკი 78), კუვერმანსი
მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი
მარსელი: მანდანდა, ტაივო, ილტონი, ზუბარი, ბონარი, ზიანი (კაბორე 62), შეირუ (ზენდენი 82), კანა, ბენ არფა (ვალბუენა 73), ნიანგი, კონე
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: კუვერმანსი, მენდესი
მსაჯი: დამირ სკომინა (სლოვენია)
30 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ლივერპული | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| პსვ | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| მარსელი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

# ბარსელონამ და მესიმ დაამრგვალეს



„ბარსელონა“ სამივე თამაშის მომგები ერთადერთი გუნდია ჩემპიონთა ლიგაში და უკვე ცალი ფეხით მერვედფინალშია.

ხოსეპ გვარდიოლას გუნდმა 16 სექტემბრიდან დაიწყო და ზედიზედ რვა მოგებულ მატჩში 28 გოლი შეყარა.

სანამ „ბაზელის“ მცველები ბუმბულს არჩევდნენ, მესიმ, ბუსკეტსმა და კრკიჩმა მეკარე ფრანკო კოსტანცო დააბეჩავეს და 22 წუთში ბურთი კარიდან სამჯერ გამოატანინეს.

მეორე ტაიმში გუნდები გასახდელიდან სამი წუთის გამოსულები იყვნენ, რომ კოსტანცომ კიდევ ორჯერ შეიარა კარში ბურთის გამოსაგორებლად. ეს იყო კატალონიელების მე-200 გამარჯვება უეფას ტურნირებში, მესიმ კი „ბარსას“ მაისურით 50-ე გოლი მიითვალა.

დონეცკში „შახტარმა“ უკრაინულად იჯაჯგურა, მაგრამ ქუსლთან წააგო. დერლეიმ ქუსლით დაუგორა ბურთი ხუთთვიანი მკურნალობის შემდეგ შემადგენლობაში დაბრუნებულ ლიედსონს, რომელმაც პიატოვს ახლოდან გაუტანა.

კერკეტი „კლუჟი“ საფრანგეთში გატყდა და ჩემპიონთა ლიგაში პირველი მარცხი იგემა. „რომას“ მძლეველ და „ჩელსისთან“ ქულის ამღებ რუმინელებს „ბორდოს“ ფეხბურთელებმა ვერ გაუტანეს, მაგრამ მათ „კლუჟის“ კაპიტანი კადუ დაეხმარა. ხელს არავინ რომ არ უშლიდა, კადუმ რატომღაც უცნაური მოძრაობით სცადა ბურთის მოგერიება და ორი მეტრიდან საკუთარ კარში შეაგდო. ასე მოიგო „ბორდომ“ პირველი მატჩი ლიგაში და ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნა.

„ჩელსის“ კი შეუძლია დაიტრაბახოს, რომ ერთადერთი გოლგაუშვებელი გუნდია. კაპიტანმა ჯონ ტერიმ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ახლო ძელთან თავი დაუხვედრა და შორ კუთხეში შეაგდო. „რომას“ დაცვაში კი, „ინტერთან“ 0:4 წაგების შემდეგ, აშკარა პროგრესია.

თემურ ქეცბაიას „ანორთოსისმა“ „სან სიროზე“ ღირსეულად ითამაშა „ვარსკვლავებით“ გატენილ „ინტერთან“ და პირველი ტაიმის მიწურულს ადრიანოსგან თავური გოლი გაუშვა.

თავით დუბლი შეასრულა „პანათინაიკოსის“ ფეხბურთელმა მანციოსმა და ორივე გოლი ერთიმეორეზე უკეთესი გამოუვიდა. ჯერ პენალტის ნიშნულიდან შეაგდო, მერე კი თავზე გადაუგდო და ბურთი პარაშუტივით ჩაუშვა ვიზეს შემცვლელი ფანდერის კარში.

„ვერდერი“ თამაშს მერტეზაკერის ახლოდან შეგდებული გოლით იგებდა და ბოლოს ალმეიდამ თავურით გაათანაბრა.

მადრიდში სიმაუმ „ატლეტიკო“ პირველი მარცხისგან იხსნა. მეკარესთან პირისპირ გასულმა რობი კინმა „ლივერპული“ დააწინაურა, სიმაუ საბროსამ კი მატჩის ბოლოს გაიტანა.

„ბაზელივით“ უქულოა „მარსელი“, რომელიც ეინდჰოვენში საათზე მეტხანს გაუძალიანდა პსვ-ს, მაგრამ დანი კუვერმანსის ორმა თავურმა გოლმა ფრანგული გუნდი ცხრილში ბოლო ადგილზე დატოვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ჩეხეთი
თასი
უსტი 0:4 სლავია

## დანია
II დივიზიონი
ამაგერი 2:2 ფრემი
აკადემისკი 0:1 ლიუნგბიუ

## ინგლისი
II ლიგა
ჩესტერფილდი 5:1 ალდერშოტი

## ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი
შესარჩევი მატჩები
ხორვატია 3:0 მოლდოვა
შვედეთი 0:2 სერბეთი
ესპანეთი 6:0 ესტონეთი
ინგლისი 0:0 სომხეთი

## ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი
შესარჩევი მატჩები
ბოსნია 2:2 პოლონეთი
საბერძნეთი 1:0 ჩერნოგორია
შოტლანდია 8:0 სან მარინო
აზერბაიჯანი 0:1 უნგრეთი

## ფინეთი
თასი
ჰონკა 2:0დ.დ. ტამპერე

## გერმანია
I ბუნდესლიგა
აინტრახტი 2:1 კარლსრუე

## უნგრეთი
თასი
რეაკ 2:2დ.დ. კეჩკემეტი
შიოფოკი 4:1 ფეჰერვარი II
ლომბარდ პაპა 1:1 კაჭიკბარჩიკაი
დიორი 4:0 ჰალადეში
უიპეშტი 7:0 ბოძსი
ლიგის თასი
ვაკ 0:4 ვაშაში

## ლიტვა
A ლიგა
კაუნასი 0:3 ეკრანასი

## ჩრდ. ირლანდია
პრემიერლიგა
ნიური 3:1 კრუზეიდერსი

## სლოვაკეთი
თასი
არტმედია 0:0 სტრედა

## სლოვენია
თასი
კოპერი 1:1(4:3პ) ნაფტა
პრიმორიე 2:3 ინტერბლოკი
გორიცა 6:0 ლივარი
მარიბორი 2:0 ველენიე

## შვედეთი
ალსვენსკა
მალმიო 1:0 აიკ
ნორჩიოპინგი 1:1 ლიუნგსკილე

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანიბაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბულეძიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლეჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge